საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 71
(11 528)

11 – 13 სექტემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

*მერანი — ვიტ ჯორჯია*

4

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

## გიორგი სიხარულიძე მემორიალურ დაფას იმსახურებს



ამ დღეებში სპორტის რამდენიმე ღვაწლმოსილმა მუშაკმა გვირჩია, „ლელოს“ ფურცლებზე წამოვწიოთ საკითხი, რათა სახლზე, სადაც წარსულში საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე გიორგი სიხარულიძე ცხოვრობდა, გაკეთდეს შესაბამისი მემორიალური დაფა.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ეს წინადადება განხილვის ყველა პროცედურას დროულად გაივლის და ისედაც დიდი ხნის წინათ მოსაგვარებელი საკითხი, ახლა მაინც მოგვარდება დროულად. აქვე დავძენთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ყველა ხარჯებს სპონსორი გაიღებს.

„ლელოს“ რედაქცია

**ის, რაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა, კორუფციასთან ბრძოლის საჯაროობის მაგალითია, დამკვიდრდება თუ არა იგი მთელ სისტემაში?** 2





ბახრეინი — ტაილანდი

5



*ტოტენჰემი — საუთჰემპტონი*

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები... 6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### აშვეთია დანიაში გაფრინდა

„ლელო“ ადრე იტყობინებოდა, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ და ეროვნული ნაკრების ფორვარდმა მიხეილ აშვეთიამ დანიის „კოპენჰაგენში“ გადასვლის კონტრაქტს მოაწერა ხელი (დეტალები დღემდე უცნობია).

წუხელ ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშვეთია უკვე გაფრინდა დანიაში.

### ფრანგი სპრინტერი 2 წლით მოკვეთეს

ფრანგი მძლეოსანი კრისტოფ შევალი 2 წლით ჩამოაშორეს სპორტს მასტიმულირებელი პრეპარატის ნანდროლინის გამოყენებისთვის. დოპინგ-კონტროლზე ედმონტონში, სადაც, ამას წინათ, ჩატარდა მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, ამ სპრინტერის ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. სანქცია დაუყოვნებლივ ამოქმედდა იმავ დღიდან, როცა ანაბოლიკის მიღება დაუდგინდა. შევალს მხოლოდ 2003 წლის 12 აგვისტოდან შეუძლია კვლავ ისპარეზოს.

## ედმუნდო — მეტსახელად, მხეცი, რომელსაც ხშირად, აგრეთვე, უწოდებენ ნაირგვარი ბოროტების გროვას.





*მილანი — ფიორენტინა*

| | | |
|---|---|---|
| **ფეხბურთი • ეროვნული ჩემპიონატები** | **შვედეთი:** | ჰამარბი – ჰეკენი 2-2 |
| | | იორებრო – გიოტებორგი 1-2 |
| | | იორგრიტე – ტრელებორგი 2-1 |
| | **დანია:** | ორჰუსი – ვაილე 3-0 |



2

*ვილჰელმ სტეინიცის საჭადრაკო ცხოვრება და განმარტოებულის ნაღვლიანი, ტრაგიკული აღსასრული...*







## აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში 8

*სურათებზე: ერთეულებში ვაჟთა შორის გამარჯვებული ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი (მარცხნივ); ქალთა შორის უძლიერესი იყო ამერიკელი ვენუს უილიამსი — აშშ (მარჯვნივ).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 154 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

*გამოხმაურება წერილზე: „ბიუჯეტი და ქართული სპორტი: რას ვიღებთ და რაში ვხარჯავთ"*

## სპორტის დეპარტამენტს სხვებმაც უნდა მიბაძონ

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი: „ბიუჯეტი და ქართული სპორტი: რას ვიღებთ და რაში ვხარჯავთ". იმავე დღეს, დილიდან, გაუთავებლად გვირეკავდნენ რედაქციაში. ზოგმა ვინაობის გამხელა არ ინება, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი არის ის, რომ სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვა საჯაროდ გაცხადდა, რაც ალბათ, ესოდენ საჭირო იყო, თუნდაც ჭორების გასაქარწყლებლად. რედაქციას ყველა უქებდა სითამამეს, მაგრამ გვინდა განვაცხადოთ, რომ ეს არ იყო ჩვენი თაოსნობა, თვით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისგან წამოვიდა ინიციატივა, მისი თხოვნა იყო გამოგვექვეყნებინა ზემოხსენებული მასალა.

ამასთან, გვინდა გითხრათ, რომ ყველა, ვინც გვირეკავდა, დაჟინებით გვთხოვდა, თუ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელივით თავად არ გამოიჩენენ ინიციატივას, რედაქციამ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება, მოითხოვოს და გამოაქვეყნოს თუ როგორ იხარჯება სახსრები თბილისის მერიისა სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურში, სპორტულ საზოგადოებებში, რაიონების და ქალაქების სპორტკომიტეტებში, სხვა სპორტულ ორგანიზაციებში, რომლებიც სახელმწიფოდან იღებენ დაფინანსებას. საზოგადოებრივი აზრი ასეთია: ეს არის კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა, რასაც ჩვენს სფეროში მაგალითი მისცა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

რედაქცია უთუოდ გააგრძელებს ამ თემას, ჩვენი უფლებების გამოყენებით მოვითხოვთ და საზოგადოებრიობას გავაცნობთ თუ სად, რამდენს იღებენ და როგორ განკარგავენ საბიუჯეტო სახსრებს.

დავძენთ, რომ აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც შეგვეხმიანა, სპორტში მომუშავე ადამიანები არიან და გასაგებია მათი გულისტკივილი იმ ფონზე, რასაც, მოდით, ჯერ მხოლოდ... ჭორები ვუწოდოთ.

„ლელოს" რედაქცია

## საუკეთესო სპონსორი აგვისტოში

ჯეოსელი

აგვისტოში, საერთაშორისო შეჯიბრებების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, სპონსორების – კი. მაგრამ ქართული სპორტისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დაადასტურა „ჯეოსელმა", რომელმაც ამჯერად ჩვენი ცნობილი აფროსნის გურამ ბიგანიშვილის საბერძნეთში მივლინების ხარჯები გაიღო. როგორც ცნობილია, 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს ათენი უმასპინძლებს. იქ უკვე წერსიგში მოჰყავთ სპორტული არენები, აფროსანთა ბაზაზე კი საერთაშორისო ტურნირიც ჩაატარეს და იმავდროულად ცნობილ სპორტსმენთა, როგორც თავისებურ ექსპერტთა აზრიც დააფიქსირეს ორგანიზატორებმა. გამოცდილ აფროსანთა აზრით, ბაზა ყველა მოთხოვნას უმაღლეს დონეზე აკმაყოფილებს.

აქვე ვიტყვით, რომ გურამ ბიგანიშვილმა აფროსანთა ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

**დღეს, 11 სექტემბერს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი გამართავს ტრადიციულ პრესკონფერენციას მასმედიის წარმომადგენლებისათვის. დასაწყისი 13 საათზე.**

## ბათუმელ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი არაერთი შეჯიბრება ჩატარდა ბათუმში. გაგაცნობთ სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

***სპორტული ტანვარჯიში. გოგონები:*** 1. სოფიკო კაკაშვილი, 2. ქრისტინა შვენთიძე, 3. ნინო ხოფერია; ***ვაჟები:*** 1. ირაკლი ჩიქოვანი, 2. გურამ სირბილაძე, 3. დათო აბაშიძე; ***მხატვრული ტანვარჯიში. მოზრდილები:*** 1. ლია ჯორბენაძე, 2. მაია მიხაილოვსკაია, 3. ქრისტინა ლაპკინა; ***მოზარდები:*** 1. ნინო ლუხუტაშვილი, 2. მირანდა ბოლქვაძე, 3. ანა თურმანიძე.

ბივი კოზმოვი

# ნამდვილი საჭადრაკო გენია

### ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის – ვილჰელმ სტეინიცის დაბადებიდან 165 წლისთავისათვის.

„დიდი ადამიანის ცხოვრების ასპარეზი მუდამ მშვენიერი სანახაობაა: იგი სულს აღაფრთოვანებს... სამოქმედოდ აღვაგზნებს."
*ბ. ბელინსკი*



„მე არა ვარ ჭადრაკის ისტორიკოსი. მე თვითონ ჭადრაკის ისტორიის ის ნატეხი ვარ, რომელსაც გვერდს ვერავინ ჩაუვლის. ჩემს შესახებ მე არა, მაგრამ მწამს, რომ ვინმე აუცილებლად დაწერს".

ასე იმპოზანტურად განაცხადა გენიალურმა მოჭადრაკემ, ჭადრაკში მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვილჰელმ სტეინიცმა 1896 წელს, თავისი განმარტოებული, ნაღვლიანი და ტრაგიკული სიკვდილამდე 4 წლით ადრე.

ამბობდა რა დამსახურებული სიამაყით გამსჭვალულ ამ სიტყვებს, ცხადია, მას არ შეეძლო არ გაეხსენებინა თავისი მძიმე, მაგრამ მგზნებარე, ცეცხლოვანი, უჩვეულოდ ხმაურიანი, ვულკანივით მფეთქავი საჭადრაკო ცხოვრების თითქმის 40 წელიწადი.

სტეინიცი მართალი აღმოჩნდა. მასზე მრავალნი წერდნენ და დაწერენ მომავალშიც.

საჭადრაკო ლიტერატურის ავტორებმა საუცხოოდ იცოდნენ, რომ საუბარი იყო არა უბრალოდ მოჭადრაკეზე, არამედ გენიალურ მოაზროვნეზე ჭადრაკის სფეროში, დაუცხრომელი ჟინის, დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე, მიზანსწრაფულ მაძიებელზე, შეუპოვარ, მოუსვენარ ნოვატორზე, უდიდეს პიროვნებაზე.

გამოჩენილი მოჭადრაკის, ისევე როგორც ყოველი თვალსაჩინო პიროვნების შემოქმედების შესწავლას აზროვნებისა და მოქმედების ნებისმიერ სფეროში აზრი აქვს მხოლოდ მისი სოციალური და პრივატული ცხოვრების გაცნობის საფუძველზე.

ეს – ზოგადი, მისაღები, რეზონული კონცეფციაა, მე ვიტყოდი, ტრივიალური ჭეშმარიტებაა და ამიტომ სრულიად ბუნებრივი, ლოგიკური, კორექტული და პრაქტიკულად გამართლებული იქნება, თუ თვალს გადავავლებთ და სქემატურად მაინც გავეცნობით ამ საინტერესო პიროვნების ცხოვრების გზას.

ვილჰელმ სტეინიცი დაიბადა 1836 წელს, 165 წლის წინათ, ღარიბ ებრაულ ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ყოფილი ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ქალაქ პრაღის ერთ-ერთ კვარტალში.

მამამისის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას ეკავა ძალიან დაბალი თანამდებობა თემში, მუშაობდა რკინა-კავეულის მაღაზიაში გამყიდველად და ჰყავდა 13 შვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი სწორედ ვილჰელმი გახლდათ.

სტეინიცების ოჯახი თითქმის ღატაკად ითვლებოდა, თუმცა 10 000-მცხოვრებიან პრაღის თემში ბევრი იყო შეძლებული.

იმ დროს პრაღა თავისი მნიშვნელობით მე-3 ქალაქი იყო ზემოაღნიშნულ მონარქიაში, ხოლო იქაური ებრაული თემი კი – ერთ-ერთი უძველესი მთელს ევროპაში, დიდი ხნის ისტორიული ტრადიციით და მემკვიდრეობით მიღებული მდიდარი კულტურით.

ებრაულ გეტოში ძველი დროიდან პრესტიჟულ, ღირებულ, ელიტარულ საქმიანობად ძირითადად ჭადრაკი ითვლებოდა. ვილჰელმს კი უკვე 12 წლის ასაკიდან იცნობდნენ როგორც ნიჭიერ, გამორჩეულ მოთამაშეს.

ბავშვობისას სტეინიცი გატაცებული ყოფილა მათემატიკით, ხოლო 1858 წელს იგი ტოვებს პრაღას და ქალაქ ვენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედის. მას ჰქონდა უბადლო მათემატიკური ნიჭი და შესანიშნავი მეხსიერება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდნენ პროფესიონალი მოჭადრაკეები. ამ თამაშს მხოლოდ მოყვარულები, ძირითადად მატერიალურად უზრუნველყოფილი პიროვნებები ეტანებოდნენ.

ევროპის საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები – უმაღლესი კლასის მოჭადრაკენი – ანდერსენი, სტაუნტონი და სხვები ცხოვრების სახსრებს სხვა წყაროებიდან იღებდნენ. იმის წარმოდგენა, რომ ჭადრაკის თამაში შეიძლებოდა გამხდარიყო შემოსავლიანი სპორტი, მაშინ აბსოლუტური უაზრობა იყო.

სტეინიცისათვის ნათელი გახდა, რომ როგორადაც უნდა წარმართულიყო მისი ცხოვრება, მხოლოდ და მხოლოდ ჭადრაკი შეიძლებოდა და უნდა ყოფილიყო მისი სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ინტელექტუალური აზროვნებისა და მოღვაწეობის იმპერატივი, ცხოვრების ბობოქარი, ძლევამოსილი სტიქია, არსებობის ძირითადი აზრი და შინაარსი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მდიდარი საზრდო ეძლეოდა სტეინიცის პატივმოყვარეობას, როდესაც იგი, ღარიბი სტუდენტი, საჭადრაკო დაფასთან უპირისპირდებოდა ფინანსურად შეძლებულ ადამიანებს, რომელთაც თვალსაჩინო საზოგადოებრივი მდგომარეობა ეკავათ.

საჭადრაკო დაფასთან ჯერ კიდევ პირველი სვლის წინ ის თანასწორად გრძნობდა თავს ყველასთან: ჰოლკოვნიკთან და ლუდის მხარშავთან, იურისტთან და ბანკირთან, ხოლო მე-3, მე-4 და ასე შემდეგ – მე-20 სვლაზე კი ცხადად ხედავდა, რომ ის თავის პარტნიორზე უფრო ჭკვიანია, უფრო ღრმად აზროვნებს, უფრო გაბედულად, შემართულად, რეალურად ითვლის, ოპტიმალურად და კორექტულად აწყობს კომბინაციებს და წარმოადგენს უფრო დიდ ფასეულობას, ვიდრე მეტოქე. ვილჰელმი ხვდებოდა, რომ პარტნიორიც გრძნობდა ამას და ბრწყინვალედ ესმოდა ყოველივე ეს.

და მაშინ სტეინიცს ეუფლებოდა უპირატესობის გრძნობა, ესოდენ ნაცნობი ყოველი გამორჩეული მოჭადრაკისათვის, – გრძნობა ელვარედი, ცეცხლოვანი, გაზაფხულზე მოვარდნილი ნიაღვარივით დაუოკებელი, მთის წყაროსავით მოჩუხჩუხე, ჩანჩქერივით მჩქეფარე...

საჭადრაკო უპირატესობის აღმოჩენამ სტეინიცს ადრეულ წლებშივე ჩაუნერგა აგრესიული, შეიძლება ითქვას, ამბიციური, საკუთარი ღირსების გადაჭარბებული შეფასების გრძნობა.

ამაში ერთხელ დარწმუნება მოუხდა სტეინიცის ერთ-ერთ პარტნიორს ეპშტეინს, ქალაქ ვენის უდიდეს, უმდიდრეს ებრაელ ბანკირს საჭადრაკო დაფასთან კაფე „კუროპატკაში", სადაც ის ეთამაშებოდა პარტიას არასასიამოვნო, ღატაკურად ჩაცმულ სტუდენტს – სტეინიცს.

ვილჰელმი, რომელმაც მოწინააღმდეგეს მხედარი წინასწარ მისცა, როგორღაც თითქოს დიდხანს დაფიქრდა სვლაზე.

– ნუ-ნუ! – უკმაყოფილოდ გააგრძელა ბანკირმა. სტუდენტი-ვილჰელმი დაფიქრდა იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო და შემდეგ გააკეთა სვლა. ახლა კი უკვე ბანკირს მოუხდა დაფიქრება.

– ნუ-ნუ! – მიბაძა სტეინიცმა ბანკირს, ესე იგი, ფაქტიურად გამოაჯავრა, დასცინა მას.

ბანკირი მთლად აენთო, უზომოდ გაცეცხლდა, განრისხდა, აბობოქრდა, რადგან სტეინიცის ჟესტი, ორად-ორი სიტყვა „ნუ-ნუ" თავის შეურაცხყოფად, ღირსების შელახვად მიიღო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცხადი იყო, რომ იგი პარტიასაც აგებდა.

– ახალგაზრდავ, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ელაპარაკებით ბანკირ ეპშტეინს! – მისცა მან მკაცრი შენიშვნა და გაფრთხილება სტუდენტს.

– იცოდეთ! ერთადერთი ეპშტეინი საჭადრაკო დაფასთან ყოველთვის – ეს მარტო მე ვარ და მხოლოდ და მხოლოდ მე! – ამპარტავნულად, თავდაჯერებულად და მტკიცედ უპასუხა სტეინიცმა. გვარი „ეპშტეინი" ამ შემთხვევაში სტეინიცისათვის იყო პირობითი ტერმინი, სიმბოლო, რომელიც ხაზს უსვამდა მისი პერსონის გამორჩეულობას, განუმეორებლობას, უპირატესობას, მოწოდებას, მაღალ პროფესიონალიზმს.

1858-61 წლებში ვილჰელმი ქ. ვენის კაფე „კუროპატკას" საჭადრაკო ოთახის მუდმივი სტუმარი იყო და მონაწილეობდა ვენელი მოჭადრაკეების სამ ტურნირში, რომელიც ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა. 1859 წელს მან მე-3 ადგილი დაიკავა, 1860 წელს მე-2 იყო, ხოლო 1861 წელს პირველობა არავის დაუთმო, თანაც 31 პარტიიდან 30 მოიგო.

1862 წელს 26 წლის ვილჰელმი ვენიდან გაიგზავნა ლონდონში II საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე (I ტურნირი 1851 წელს ჩატარდა).

სწორედ ამ მიწვევისას სტეინიცმა ნათლად დაინახა, რომ მის წინ ცხოვრების ახალი ასპარეზი, ახალი პერსპექტივა, ახალი ფურცელი გადაიშალა.

ვენა ხომ ნამდვილად ვერ შეედრებოდა ლონდონს!

1863-65 წლებში სტეინიცმა სასტიკად დაამარცხა იმდროინდელი ინგლისის თვალსაჩინო მოჭადრაკეები: ბლეკბერნი, მონგრედიენი, დიკონი, გრინი. სტეინიცის გამარჯვებას კი ინგლისელ მოჭადრაკეზე მონგრედიენზე ეწოდა „ავსტრიელი ჩემპიონის ბრილიანტი".

1866 წელს სექტემბერში სტეინიცმა მიიღო იმ დროის სახელმოხვეჭილი ერთ-ერთი ინგლისელი მოჭადრაკის ბერდის გამოწვევა. სტეინიცმა მოიგო მატჩი, თანაც რა შედეგით! 7 გამარჯვება, 5 დამარცხება, 5 ყაიმი.

შემდეგ მოდის პრაქტიკული თამაშისა და პრაქტიკულ წარმატებათა 6 წელი (1867-1873).

ჩამოვთვალოთ ისინი:

1867 წელს ფრეზერთან მეორე მატჩში 7 მოგება, 1 დამარცხება, 1 ყაიმი. 1872 წლის ლონდონის ტურნირი. აქ იყო ტრიუმფით მოპოვებული პირველი პრიზი: 6 მოგება, 6 პარტიიდან გამარჯვება ბლეკბერნზე და იმ მომენტში დაწინაურებულ და აღიარებულ ისტორიულ სერიოზულ მეტოქე ცუკერტორტზე. ცუკერტორტთან მატჩში დაფიქსირდა 7 მოგება, 1 დამარცხება და 4 ყაიმი.

ამ პერიოდში ვილჰელმის ცხოვრებაში და საჭადრაკო ცის კაბადონზე გამოჩნდა კაშკაშა ვარსკვლავი, საჭადრაკო ბრწყინვალე ნიჭის კიდევ ახალი გამოსხივება – პოლ მორფი, ადვოკატი ნიუ-ორლეანიდან.

მორფის ტრიუმფი დაიწყო ევროპაში ლონდონიდან, სადაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1851 წელს ორგანიზებული იყო ჭადრაკის ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი.

სტეინიცი ერთხელაც არ მჯდარა მორფისთან საჭადრაკო დაფასთან, სამაგიეროდ, საათობით ხარჯავდა დროს საჭადრაკო დაფასთან მორფის პარტიების შესასწავლად.

სტეინიცს ესმოდა, რომ ჭადრაკის თამაშის ხელოვნების კანონებისა და პრინციპების დაუფლება „მორფის საიდუმლოების" ამოცნობაშია, რომელიც დაეხმარებოდა იდუმალებით მოცული მორფის საჭადრაკო სამყაროში შესაღწევად.

მორფის საიდუმლოება გულისხმობდა პოზიციური და კომბინაციური თამაშის შერწყმას.

ასეთი ჰარმონიული სინთეზის შესაძლებლობებს და აუცილებლობებს პირველად ჩასწვდა სტეინიცი, რომელმაც მოახდინა მორფის თამაშის პრინციპების ფორმულირება ყოველი მოჭადრაკისათვის.

პაულ მორფის ადამიანური საიდუმლოების გამოსაცნობად, სტეინიცი ეწეოდა სერიოზულ სამუშაოს, რომლის შესასრულებლად გადამწყვეტი, ძვირფასი და შეუცვლელი თვით მორფის პარტიები იყო.

და აი, მორფის საიდუმლოების ამოცნობით, მაგრამ ამავე დროს მისი პრაქტიკისგან მოწყვეტით, სტეინიცმა შექმნა საკუთარი შესანიშნავი თეორია, რომელშიც მორფის პრაქტიკა ჩაედინება

იხ. მე-3 გვ.

*(მეორე გვერდიდან)*

ისე, როგორც ძლიერი, შმაგი, დაუდეგარი მდინარე უკიდეგანო ოკეანეში...

1873 წელს სტეინიცს შესთავაზეს სპორტული გაზეთის „The Field"-ის საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელობა.

სტეინიცის კომენტარები შემოქმედებით-პოლემიკური ხასიათისა იყო. იგი პირდაპირ ამბობდა ყველაფერს, რისი თქმაც სურდა, რის გამოც მრავალი მტერი გაიჩინა.

ჰოფერისა და ცუკერტორტის მატჩის შემდეგ სტეინიცი ჩამოაშორეს გაზეთ „The Field"-ს და მისი საჭადრაკო რუბრიკის რედაქტორობა ცუკერტორტსა და ჰოფერს მიანდეს.

ეკონომიური თვალსაზრისით ვილჰელმისათვის ეს ფაქტი საგანგაშო გამოდგა. ცოლ-შვილის პატრონ სტეინიცს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა, რადგან არსებობის ძირითადი წყარო გაუქრა.

1883 წელს სტეინიცმა დატოვა ინგლისი, სადაც 20 წელიწადი იცხოვრა. ამავე წლის 14 ოქტომბერს ნიუ-იორკში ჩავიდა. იქ მან აირჩია თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მანჰეტენის საჭადრაკო კლუბის მფარველობის ქვეშ.

პირველმა ორკვირიანმა საგასტროლო მოგზაურობამ ამერიკაში ვილჰელმს 200 დოლარი მოუტანა. ზოგჯერ სოლიდურ თანხასაც იღებდა. მას ნორმალური არსებობის საშუალება მიეცა და იმდენად კმაყოფილი იყო, რომ დაუყოვნებლივ შეიტანა განცხადება აშშ-ის მოქალაქეობის მისაღებად.



მისი გამოსვლები განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 1884-1885 წლებში. ერთდროული თამაშის სეანსებში ის მუდმივად იგებდა თითქმის ყველა პარტიას. ასეთივე შედეგები ჰქონდა „ბრმა" სეანსებში.

თავისი ამერიკული ცხოვრების პირველივე დღეებიდანვე სტეინიცი ცდილობდა, რომ შეხვედროდა სოლიდურ, სერიოზულ მეტოქე ცუკერტორტს და მიზანს მიაღწია კიდეც.

იოჰან გერმან ცუკერტორტი (1842-1888) — გერმანელი ებრაელი მოჭადრაკე-პროფესიონალი, ლონდონში, სტეინიცის მსგავსად, 1872 წელს დასახლებული, იყო ნამდვილად საშიში, ღირსეული მოწინააღმდეგე.

1886 წლის 11 იანვარს დღის 2 საათზე ისინი დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ ისტორიულ საჭადრაკო მაგიდასთან.

მიუხედავად იმისა, რომ შეუდარებელი სისწრაფით, ჟინით, ვნების სიმძაფრით, შინაგანი ალმაფრენით თამაშობდა ცუკერტორტი, ხარჯავდა რა თითოეულ სვლაზე 1 წუთს, ხოლო სტეინიცი 4 წუთს ანდომებდა, სტეინიცმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მატჩის შედეგმა ცუკერტორტს ისეთი მორალური დარტყმა და ფსიქიური ტრავმა მიაყენა, რომ მან ვეღარ შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა, ფსიქოლოგიური, სულიერი წონასწორობის, მდგრადობის დაბრუნება და 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გერმანიის ქალაქ ხერფორდის კლუბმა სტეინიცს გამარჯვება მხურვალედ მიულოცა. ტრიუმფი მნიშვნელოვანი იყო უფრო იმით, რომ ვილჰელმმა მატჩი არა მარტო მოიგო, არამედ უკანასკნელი 15 პარტიიდან მხოლოდ ერთი წააგო.

ხერფორდის კლუბის წევრებმა განაცხადეს, რომ დიდი ხანია, რაც ისინი სტეინიცს თვლიან პირველ საჭადრაკო გენიად.

სტეინიცი ოფიციალურად აღიარებულ იქნა ჭადრაკში მსოფლიოს პირველ ჩემპიონად. სტეინიცის სახელი გრგვინავდა.

1889 წელს კუბის ქ. ჰავანაში მდიდარმა კლუბმა სტეინიცს შესთავაზა, რომ თვითონ დაესახელებინა მომდევნო მატჩის ღირსეული მოწინააღმდეგე.

ტრიუმფი გრძელდებოდა.

არ ცხრებოდა ჟინი და გზნება ტალანტისა, სრბოლა და მეუფება ნაღვერდალივით ანთებული და მოგიზგიზე ვულკანური საჭადრაკო ტემპერამენტისა!

სტეინიცმა რეალური და ლოგიკური, მართებული არჩევანი გააკეთა სახელმოხვეჭილ რუს მოჭადრაკე ჩიგორინზე. სტეინიცი ჩიგორინს კომბინაციური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლად თვლიდა.

სტეინიც-ჩიგორინის პირველი მატჩი ჰავანაში მიმდინარეობდა ორი დებიუტის ნიშნით: ევანსის გამბიტით იწყებდა ჩიგორინი, ხოლო ცუკერტორტის დასაწყისით სტეინიცი.

ვენისა და ლონდონის ტურნირებში ჩიგორინთან შავებით თამაშისას სტეინიცმა წააგო ევანსის გამბიტით ნათამაშევი პარტიები.

შემდეგ მან იპოვა შავებისათვის მე-6 სვლაზე ახალი თეორიული ვარიანტი და პროფესიული ცნობისმოყვარეობით, შემოქმედებითი ექსპრესიით ცდილობდა ამ ვარიანტის პრაქტიკაში შემოწმებას.

ეს კი მან ჰავანაში შეძლო.

ჩიგორინმა მას 9-ჯერ შესთავაზა ევანსის გამბიტი. სტეინიცმა სიჯიუტით 9-ჯერვე გააკეთა სულ ერთი და იგივე, თავისი მე-6 სვლა! ასეთი თამაშით სტეინიცმა ხუთი პარტია წააგო, 3 მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა.

სტეინიცი ჩიგორინთან პაექრობისას თეთრებით თამაშობდა ცუკერტორტის დასაწყისს.

ამ დახურულ დებიუტში სტეინიცი განსაკუთრებით ძლიერი იყო, თანაც აქაც იპოვა ახალი ვარიანტი.

ამ დასაწყისით სტეინიცმა 8 პარტიიდან 7 მოიგო და ერთხელ დაუზავდა მეტოქეს.

ამგვარად, მთელი მატჩი გადაიქცა ხანგრძლივ თეორიულ ექსპერიმენტად, რომელიც სტეინიცმა ჩინებულად დაასრულა: 10 გამარჯვება, 6 წაგება, 1 ყაიმი...

1891 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ვილჰელმის ჟურნალმა „International chccs magasinc", რომელიც 1885 წლიდან გამოდიოდა. ჟურნალის გამოცემა შეწყდა ფინანსური მიზეზების გამო.

1892 წელს სტეინიცს ცხოვრების ქარიშხალმა უდიდესი უბედურება დაატეხა თავს: დროის მცირე მონაკვეთში გარდაეცვალა მეუღლე და 18 წლის ქალიშვილი.

რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ბრუნდება ნიუ-იორკში, სადაც ეწყება ძლიერი ნერვული დეპრესია: ეჩვენება, თითქოს მისი სხეულიდან გამოდის ელექტრული დენი, რომელიც ფიგურებს გადააადგილებს საჭადრაკო დაფაზე.

1900 წლის 11 თებერვალს იგი სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსეს.

რა იყო ეს? — ბედის ირონია თუ ღვთისგან, განგებისგან მოვლენილი ბედისწერა?!

სიცოცხლის ბოლო დღეებში ავადმყოფს საშინლად აწამებდა ფსიქიური სტრესი, სულიერი სკეპსისი, ფსიქოლოგიური კრიზისი.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული და საბედისწერო აღმოჩნდა.

1900 წლის აგვისტოში დადგა აღსასრული მისი გულისა.

მეტეორმა ჩაიქროლა.

ფარდა დაეშვა.

სამუდამოდ ჩაქრა, ჩაიფერფლა ამ სწორუპოვარი, დიდების ზენიტში მყოფი მოჭადრაკის დაუცხრომელი, ვნებიანი, შფოთიანი, ტრაგიკული სიცოცხლე. ქარიშხალი ჩადგა.

დაიხურა წიგნი სტეინიცის სევდიანი, მაგრამ მქუხარე, ტიტულოვანი ცხოვრების ისტორიისა.

ამბობენ, — გედი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ — სიკვდილის წინ მღერისო. და იქნებ სიმბოლურად სწორედ გედის სიმღერა იყო ის მომენტი, როდესაც სტეინიცმა მხოლოდ ერთხელ, როცა მისი გულისძგერა წყდებოდა, საჭადრაკო დაფა მკერდზე მიიკრა.

ჩიგორინმა სიკვდილის წინ დაფა და ფიგურები ღუმელში შეყარა, სტეინიცმა კი სიცოცხლე თითქოს თავის პოსტზე დაამთავრა.

დიახ, ბუმბერაზი მოჭადრაკის მზე ისე ჩაესვენა, რომ იგი არ განშორებია საჭადრაკო დაფას, როგორც ჭეშმარიტ, უწმინდეს და უძვირფასეს, უნიკალურ რელიკვიას, უმაღლეს და უზენაეს ფასეულობას თავისი ესოდენ მშფოთვარე, ზღვასავით მღელვარე, ქარიშხალივით ბობოქარი გარდასული ცხოვრებისა.

**ლუბა ნათლიაშვილი**

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## იუგოსლავიის ნაკრები — ევროპაში უძლიერესი



თურქეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იუგოსლავიის ნაკრებმა, რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ გუნდებზე. უდავოდ აღსანიშნავია, თურქეთის ნაკრების ვერცხლის მედლები. აგრეთვე გაირკვა იმ ხუთი ნაკრების ვინაობა, რომლებიც იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატში. ესენია არიან: იუგოსლავია, თურქეთი, ესპანეთი, გერმანია და რუსეთი.

***გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს.***

***მატჩი მეშვიდე ადგილისათვის:*** ხორვატია — ლატვია 93:91

***მატჩი მე-5 ადგილისათვის:*** რუსეთი — საფრანგეთი 78:73

***მატჩი მე-3 ადგილისათვის:*** ესპანეთი — გერმანია 99:90

***ფინალი:*** იუგოსლავია — თურქეთი 78:69

იუგოსლავია: შეპანოვიჩი (19), ბოდიროგა (18), სტოიაკოვიჩი (15), გუროვიჩი (11), ტომაშევიჩი (10), ობრადოვიჩი (3), ტარლაჩი (2).

თურქეთი: კუტლუაი (16), ტერკოგლუ (13), ერდენაი (13), ბესოკი (10), ტურკანი (8), ოკური (6), პარსი (3).

## ჩინეთი – რუსეთი



შანხაიში დაიწყო საჭადრაკო მატჩი ჩინეთი — რუსეთი, რომელშიაც ორივე მხრიდან 6-6 ვაჟი, 3-3 ქალი და 3-3 იუნიორი მონაწილეობს. პირველ ტურში გამანადგურებელი ანგარიშით 9,5:2,5 გაიმარჯვეს რუსეთელებმა. მატჩის მეორე ტური 6:6 დამთავრდა. ორი ტურის შემდეგ ანგარიშია 15,5:8,5 რუსეთელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ მეორე ტურში რუსმა ალექსანდრე ხალიფმანმა (სურათზე) დაამარცხა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჟუნი.

## ATP-ს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი

**1 (1) გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 75 ქულა**
**2(2) ანდრე აგასი (აშშ) — 683**
**3(5) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 635**
**4(4) პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 557**
**5(3) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 552**
**6(7) ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 388**
**7(19) პიტ სამპრასი (აშშ) — 363**
**8(6) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 360**
**9(7) ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 352**
**10(9) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 324**

## ჭადრაკის ლეგენდა ინტერნეტით ფარულად თამაშობს?




ბრიტანელი დიდოსტატი ნაიჯელ შორტი ირწმუნება, რომ მასთან ინკოგნიტოდ ჩაატარა სწრაფი თამაშის 50-ზე მეტი პარტია ინტერნეტით უცნობმა მოჭადრაკემ. „99 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ვეთამაშებოდი ბობი ფიშერს" — განუცხადა ჟურნალისტებს შორტმა და მეტი დამაჯერებლობისთვის ისიც დასძინა, რომ მას, როგორც სწრაფი ჭადრაკის დიდოსტატს, 8:0-ს ვერავინ მოუგებდა ფიშერის გარდა.

## ველო — „ვუელტა"

ესპანეთის ქალაქ სალამანკაში სტარტი აიღო მრავალდღიანი ველორბოლის პრესტიჟით მესამე შეჯიბრებამ „ვუელტამ". პროლოგი (12,3 კმ) მოიგო ბრიტანელმა დავიდ მილარმა — 14,56, მეორე იყო სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია) +1 წ, მესამე ლევი ლეიცხაიმერი (აშშ) — 6 წ.



**გუშინ, რბოლის მესამე ეტაპი გერმანელმა მრბოლმა ერიკ ცაბელმა (სურათზე) მოიგო, მეორე ეტაპიც მისი გამარჯვებით დასრულდა. საერთო ჩათვლაში კი ლიდერობას დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი) ინარჩუნებს.**

## ქმრის წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემს

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ქ. კალბერეში გაქურდეს რუს მოცურავეთა ცნობილი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონების პოპოვისა და კლიმის აღმზრდელი გენადი ტურეცკი (სურათზე), რომლის სეიფში, რომელიც შემდეგ იპოვნეს, აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი სტანოზოლოლი. მწვრთნელმა არ აღიარა დანაშაული. მთავარი მოწმე ბრალდებისათვის ტურეცკის მეუღლე ინა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავსტრალიის კანონის მოშველიებით, მან უარი განაცხადა მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, რაც მოსამართლემ გაიზიარა. პროკურორი განარისხა მოსამართლის პოზიციამ და განაცხადა, რომ პროცესი ბატონ ტურეცკის წინააღმდეგ ფაქტობრივად ჩაიშალა, რადგან სხვა მოწმე არ არსებობს.

## მძლეოსანთა „გრან-პრის" ფინალი

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში გაიმართა „გრან-პრის" შემაჯამებელი ტურნირი. საერთო ჩათვლაში გამარჯვებული ვაჟთა შორის გამოვიდა შვეიცარიელი მორბენალი 800 მეტრზე ანდრე ბუშე, ქალთა შორის — რუმინელი მორბენალი (1500 მ) ვიოლეტა შეკელი, თითოეული ჯილდოდ მიიღებს 150 ათას დოლარს, გარდა ამისა, კიდევ ოთხ ათლეტთან ერთად გაიყოფენ „ოქროს ლიგის" მთავარ პრიზს.

***გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს. ვაჟები: 200 მ:*** შონ კროფორდი (აშშ) — 20,37; ***800 მ:*** ანდრე ბუშე (შვეც) — 1.46,71; ***1500 მ:*** ხაშიმ ელ გერუჟი (მაროკო) — 3.32,25; ***3000 მ:*** პოლ ბიტოკი (კენია) — 7.53,85; ***110 თარჯრბენი:*** ანე გარსია (კუბა) — 13,22; ***3000 მ. დაბრკოლებით:*** ბრახიმ ბულამი (მაროკო) — 8.16,64; ***სიგრძე:*** იუნის მუდრიკი (მაროკო) — 823; ***ბადრო*** ფიგილიუს ალეკნა (ლიტვა) — 64,42; ***შუბი:*** იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — 88,98.

***ქალები: 200 მ:*** მირიამ ლუინე მანი (კამერუნი) — 22,93; ***800 მ:*** მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 1.59,78; ***1500 მ:*** ვიოლეტა შეკელი (რუმინ) — 4.03,46; ***3000 მ:*** ტატიანა ტომაშოვა (რუს) — 9.30,39; ***400 მ. თარჯრბენი:*** ტანია ბუფორდ ბეილი (აშშ) — 54,58; ***სიმაღლე:*** პესტრი კლიუტი (სამხ. აფრ) — 198, ჭოკი — სტეისი დრაგილა (აშშ) — 4.50; ***სამხტომი:*** ტერეზა მარინოვა (ბულგ) — 14,77; ***ურო:*** კალიმა სკოლი მოვსკა (პოლ) — 71,71; ***ბირთვი:*** ასტრიდ კიმბერნუსი (გერმ) — 18,94.

## „კეთილი ნების თამაშები" დამთავრდა

**სიდნეიში 12 დღიანი პაექრობების შემდეგ, ოქროს მედლებით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა — ავსტრალიელმა სპორტსმენებმა. მათ ანგარიშზეა 73 მედალი, აქედან ოქროსი — 29, ვერცხლის — 24 და ბრინჯაოსი — 20, შემდეგ მოდის რუსეთი — 74: 24, 30, 20, მესამე ადგილზეა აშშ — 71:21, 21, 29.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. 8 სექტემბერი. „ლოკომოტივი" 1.500 მაყურებელი

## ლოკომოტივი — დინამო (თბ) 2-1

# გასეირნება ვაკის პარკში

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, დავითნიძე, ონიანი, გელა ქორიძე, ანჩაბაძე, დათვაძე, მორჩილაძე (გოდერძიშვილი 87), გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (ჰიჭვეიშვილი 30)
დინამო: ბათიაშვილი, მანწკავა (ჯ. შალამბერიძე 46), კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, მიკუჩაძე (აფციაური 72), ბურდული, დარასელია, გ. მიქაძე (სახვაძე 43), ბობოხიძე.
*გოლები:* 0-1 ბურდული (34), 1-1 ჰიჭვეიშვილი (36), 2-1 დათვაძე (84)
*გააფრთხილეს:* ანჩაბაძე, გოდერძიშვილი:
*მსაჯი:* ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ფეხბურთის თამაშის განწყობით, არც მასპინძლები, არც სტუმრები გამოირჩეოდნენ. ექვსი ტური ჩატარდა, მაგრამ ორივე გუნდს დამაჯერებლობა აკლია, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძიებაში არიან და შემადგენლობათა ოპტიმალური ვარიანტიც შესარჩევია. განსაკუთრებით ეს „დინამოზე" ითქმის. წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხს გივი ნოდიას შეგირდებმა ახლა „ლოკომოტივთან" წაგებაც მიაყოლეს. ექვს მატჩში სამი წაგება ამბიციური გუნდისთვის, ძალზე ბევრია. აღფრთოვანებას არც „ლოკომოტივის" თამაში იწვევდა. მატჩის ნახევარი საათი ისე მიილია, ხეირიანი და დასამახსოვრებელი შეტევა ვერც ერთმა განახორციელა, მერე კი, ხუთიოდე წუთით სტადიონის განათება გამოირთო. მოულოდნელმა პაუზამ ფეხბურთელებზე დადებითად იმოქმედა და, თამაშის განახლების შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთს შედეგიანად „უჩხვლიტეს". დინამოელთაგან საუკეთესომ ლადო ბურდულმა გაიტანა პირველი გოლი, თუმცა სტუმართა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. შეცვლაზე შემოსულმა ჰიჭვეიშვილმა მალევე გაქვითა გოლი. წამიერი აფეთქების შემდეგ თამაში ისევ ჩაწყნარდა. „რკინიგზელებიც" და „ძალოვნებიც" ფეხბურთის მოთამაშეებს კი არა, პარკში სასეირნოდ გამოსულებს უფრო ჰგავნდნენ. მატჩის შემხვედვარე იფიქრებდი, ფრე ლოგიკური იქნებოდაო, მაგრამ მასპინძლებმა, რომლებიც მეორე ტაიმში უკეთ გამოიყურებოდნენ, მაინც მოიგეს. დათვაძემ ზუსტად დაურტყა მარჯვენა კუთხეში ბათიაშვილს და „ლოკომოტივის" ყულაბა სამი ქულით შეავსო.

**საბა ლომინაძე**

# ტექნიკური შედეგები

### მერანი – ვიტ ჯორჯია 2-1

*მერანი:* ნაჭყუპია, გოგიტაძე (ჭინჭარაული 41), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, გ. ილურიძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე (გ. ხიზანიშვილი 71), კოშკაძე, ბოლქვაძე, მუხინი. გაგუა (კვეკვესკირი 85).
*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, არეშიძე (წუწუნავა 55), ინწკირველი, კობიაშვილი, მუჯირი, ნოზაძე, თედორაძე, გოგობერიშვილი, ადამია, გოჩაშვილი, დოლიძე, (ფეიქრიშვილი 46).
*გოლები:* 1-0 ბაჯელიძე (27), 2-0 გაგუა (30), 2-1 გოგობერიშვილი (78 3)
*გააფრთხილეს:* ცქიფურიშვილი, ბოლქვაძე, მუჯირი
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი)

### გურია – სიონი 0-0

*გურია:* დოლიძე, ებრალიძე, ორბელაძე, პატარიძე, მარლიშვილი, პატარაია (ოდიკაძე 58), კ. მეტრეველი, ფაცურია, ხუჭუა, ენდელაძე, (თ.ქიქავა), კაციაშვილი.
*სიონი:* ვოლკოვი, ირემაშვილი, ბარნოვი, მინდიაშვილი, გოგოლაძე (მინაშვილი 46), სიდამონიძე, ისიანი, (გოდერძიშვილი 90), მოსეშვილი, ამბიძე (დაუშვილი 75), ბ. შენგელია, შ. ლაცაბიძე.
35-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა მარლიშვილმა
*გააფრთხილეს:* კაციაშვილი, შენგელია, მარლიშვილი, ირემაშვილი, ბარნოვი, ხუჭუა.
*მსაჯი:* პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)



საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, VI ტური

### ტორპედო – დინამო (ბთ) 2-1

*ტორპედო:* გვარამაძე, ხვადაგიანი, თოდუა, აბრამიძე, ქემოკლიძე, დიდავა, ასათიანი, ბაბუნაშვილი (მახვილაძე 25), ახალკაცი (პარამონოვი 60), აშვეთია, ქუთათელაძე (პოროშინი 46).
*დინამო:* ჰანტურია, ჩხაიძე, მინდაძე, არჩვაძე, თურმანიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, რომანაძე (გვაზავა 83), მაჭუტაძე, ტულუში, აფხაზავა.
*გოლები:* 0-1 ხუჯაძე (56), 1-1 მახვილაძე (72), 2-1 დიდავა (82)
*გააფრთხილეს,* რომანაძე.
*მსაჯი:* მეშკოვი (თბილისი)

### სამგურალი – მეტალურგი 0-0

*სამგურალი:* ბოდოკია, ბერაძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე, ჯინჭარაძე, კიკვიძე (ფხაკაძე 68), ღონღაძე (კ. ჯანაშია 68), დარსაძე, კოპალიანი, გ. მიქაძე, ვაჩიბერაძე.
*მეტალურგი:* მერკვილიშვილი (ოდიკაძე 84), ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, მაღლაკელიძე, ამაშუკელი, ჭყონია, სუხიაშვილი, კრავეიშვილი (ხმალაძე 84), ფირცხალაიშვილი, მემარნიშვილი (გოგაძე 64), გეწაძე.
*გააფრთხილეს:* სუხიაშვილი, დარსაძე, ამაშუკელი, კოპალიანი, ლურსმანაშვილი.
*მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი)

### კოლხეთი 1913 – გორდა 4-1

*კოლხეთი:* ჩემია, ტორჩინავა, მიქელთაძე, ქუტიძე, ფანჩულიძე, ახვლედიანი (კრასოვსკი 54), ქობულაძე, კვეტენაძე (ყურაშვილი 74), კვირკველია, ე. გვასალია, მუმლაძე.
*გორდა:* კოროშინაძე, ბერიძე, ბურნაძე, ბექაური, ზვ. ლაბაძე (ლურსმანაშვილი 67), ვ. კილასონია, ზურაბ ლაბაძე (ჯელაძე, 46), მელაძე, ბუკია (კაპანაძე 46), ალადაშვილი, გოცირიძე.
*გოლები:* 1-0 კვირკველია (17), 1-1 მელაძე (35), 2-1 ფანჩულიძე (65), 3-1, 4-1 კრასოვსკი (76, 87).
*გააფრთხილეს:* კაპანაძე, ალადაშვილი, ტორჩინავა.
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### ბომბარდირები

*აშვეთია (ტორპ.)— 8*
*ბობოხიძე (დინამო. თბ)— 5*
*ნივნივაძე (კოლხ.)— 5*
*იონანიძე (ტორპედო)— 3*
*დავითაშვილი (მერანი)— 3*
*ხუჯაძე (დინამო. ბთ)— 3*

## მიმოხილვა

სანაკრებო გამარჯვებებით განებივრებული და გახარებული ქართველობა, შინაურ პირველობას მიუბრუნდა. მეექვსე ტურმა მოულოდნელი არა, მაგრამ საინტერესო შედეგები კი შემოგვთავაზა. „ტორპედო" ისევ პირველია, ჩემპიონი უდანაკარგოდ მიიწევს წინ და მეტოქეებს თამაშიდან და ქულათა მარაგით გამომდინარე, პირდაპირ უცხადებს, ვისაც შნო გაქვთ, მდიეთ რამდენიც გენებოთო. ლიდერის დანაქადებს ჯერჯერობით მხოლოდ მერანელები უსმენენ და კვალშიც მიჰყვებიან. ავჭალელებმა ამჯერად თითქმის ყველასათვის უხერხული ვიტელები დაამარცხეს. „მერანსა" და ქუთათურთა შორის სხვაობა ახლა მხოლოდ ორი ქულაა. შინ კვლავ დაუძლეველია ფოთელთა „კოლხეთი". ქართული ფეხბურთის მესაძირკვლეთა „მსხვერპლი" ამჯერად რუსთავის „გორდა" შეიქნა. კოლხებმა ტურში ერთადერთი დიდი ანგარიშით გამარჯვებას მიაღწიეს. ორ მატჩში ნულოვანი ფრე აღინიშნა. ასე დაშორდა ერთმანეთს იმერული წყვილი, აგრეთვე გურულები და ქართლელები. თბილისურ დერბიში რკინიგზელებმა „პოლიციური" „დინამო" დაჯაბნეს. მთლიანობაში მეექვსე ტურში გამარჯვებით ფოთელებმა გაიხარეს, „კოლხეთმა" ბათუმელ დინამოელებს გადაუსწრო. დანარჩენი ყველაფერი ძველებურადაა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 6 | 0 | 0 | 16-1 | 18 |
| მერანი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-2 | 16 |
| კოლხ.-1913 | 6 | 4 | 0 | 2 | 15-8 | 12 |
| ლოკომოტ. | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 12 |
| დინამო (ბთ) | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| დინამო (თბ) | 6 | 2 | 1 | 3 | 10-7 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-10 | 7 |
| სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-10 | 7 |
| გორდა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |
| გურია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |
| მეტალურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |




### შესარჩევი მატჩები

**ზოოვეტი** — ჭაბუკიანი 2-0 დ.დ.
ოლიმპიკი — **მაუდი** 0-1

1/16 ფინალი, 12-26 სექტემბერი
მერანი — ზოოვეტი
თსუ — მაუდი

## პირველი ლიგა, V ტური

მერანი-2 — თორი 1-3
დინამო-2 (თბ) — დილა 0-4
კოლხეთი (ხ) — ცხინვალი 0-0
ლოკომ (სამტრ) — ლაზიკა 2-0
ქობულეთი — თსუ 0-0
მილანი (წნ) — ლოკომ-3 4-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 5 | 5 | 0 | 0 | 18-1 | 15 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| ქობულეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 3-4 | 10 |
| თსუ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-2 | 7 |
| კოლხეთი (ხ) | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| ლაზიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-10 | 7 |
| ლოკომ-3 | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| ლოკომ (სამტ) | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| დინამო-2 | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |
| მერანი-2 | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |
| თორი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-14 | 3 |

### მიმოხილვა

პირველ ლიგაში მოვლენები უმაღლესის მსგავსი სცენარით ვითარდება. ქვედა ლიგელებში გორელები ლიდერობენ. მათი უპირატესობა აშკარაა, როგორც ქულათა მარაგით, ისე თამაშის ხარისხით. „დილას" მდევრებმა „ცხინვალმა" და „ქობულეთმა" საჭირო ორ-ორი ქულა დაკარგეს და ლიდერს საკმაოდ ჩამორჩნენ. რკინიგზელთა ფარმკლუბის დამარცხებით წინ წაიწია „მილანმა", ბურთების უკეთესი სხვაობით გადაასწრო აჭარლებსაც და ქართლელებსაც. ცხრილის შუაში და ბოლოში სიმჭიდროვეა. ეტყობა „დილას" დასაწყისიდანვე სურს დაარწმუნოს კონკურენტები, რომ იგი პირველობის უპირობო ფავორიტი და უმაღლეს ლიგაში გადასვლის უპირველესი კანდიდატია. ჯერჯერობით გორელებს ეს ჩინებულად გამოსდით, ხუთი მატჩი და ქულათა მაქსიმუმი ამას ადასტურებს კიდეც.

შემდეგი მეექვსე ტური კვირას და ორშაბათს ჩატარდება. „დილა" შინ ითამაშებს ხობელებთან, „მილანს" გასვლითი მატჩი აქვს თსუსთან, „ცხინვალი" სამტრედიელ რკინიგზელებს მიიღებს, ხოლო „ქობულეთი" ზუგდიდში ჩავა და „ლაზიკას" შეერკინება. ეს ტურის უმთავრესი მატჩები იქნება, რომელთა შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

# რეგიონული ლიგა. III ტური



### აღმოსავლეთის ზონა

ალაზანი — მესხეთი 5-1
გორდა2 — ჯავახი 9-1
ვარძია — ცხუმი 1-0
ვიტ ჯორჯია2 — კრწანისი 8-0
ივერია — მერანი 3 4-0
მცხეთა — ლიახვი 2-0
აკადემია — თბილისი 1-1
*გადაიდო:*
ოლიმპიკი — ჭაბუკიანი
ზოოვეტი — მრეტები
დინამო3 (თბ) — მაუდი.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| შსს აკადემია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ივერია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ვარძია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| ალაზანი | 3 | 2 | 0 | 1 | 12-6 | 6 |
| ოლიმპიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ვიტ.ჯორჯია2 | 3 | 1 | 2 | 0 | 10-2 | 5 |
| გორდა2 | 3 | 1 | 2 | 0 | 9-1 | 5 |
| ცხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| ლიახვი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ჭაბუკიანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| მრეტები | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| მაუდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| მერანი3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |
| დინამო3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |
| კრწანისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-15 | 0 |
| ჯავახი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-20 | 0 |

### დასავლეთის ზონა

კოლხეთი2 — საპოვნელა 2-2
ინტერი — სქური 4-1
დინამო2 — საირმე 0-1
მერცხალი — ჩიხურა 3-0
დინამო (სოხ) — სალხინო 0-2
სამეგრელო — ლუკა 1-0
სულორი — მაღაროელი 5-1
გურია 2 — გზები 4-0
მეტალურგი2 — ეგრისი 1-3
დინამო (ზ) — ოკრიბა 4-1

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| სულორი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| გურია2 | 3 | 2 | 1 | 0 | 8-0 | 7 |
| დინამო (ზ) | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| საირმე | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-2 | 6 |
| სამეგრელო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| სალხინო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| ეგრისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| საპოვნელა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| მეტალურგი | 2 | 3 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| მაღაროელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| ლუკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| დინ.2 (ბთ) | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| სქური | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| კოლხ.2 (ფ) | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| დინ. (სოხ) | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |
| ოკრიბა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |
| გზები | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |




ელდარ მალხაზიშვილის ფოტო




# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## აზია

**A ჯგუფი**

ბაჰრეინი — ტაილანდი 1-1
ერაყი — ირანი 1-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ირანი** | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| **ბაჰრეინი** | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| **საუდ. არაბ.** | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| **ერაყი** | 4 | 1 | 0 | 3 | 5-5 | 3 |
| **ტაილანდი** | 3 | 0 | 2 | 1 | 1-5 | 2 |

მომდევნო ტური:
*14 სექტემბერი:* ირანი — ბაჰრეინი
*15 სექტემბერი:* ტაილანდი — საუდ. არაბეთი

**B ჯგუფი**

ყატარი — ჩინეთი 1-1
უზბეკეთი — ომანი 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩინეთი** | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| **უზბეკეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| **ყატარი** | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| **საემიროები** | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| **ომანი** | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |

*14 სექტემბერი:* ომანი — საემიროები
*15 სექტემბერი:* ჩინეთი — უზბეკეთი

***სურათზე:* *ყატარისა და ჩინეთის ნაკრებთა შეხვედრის მომენტი.***

## რობერტო კარლოსი ამშვიდებს

მიუხედავად იმისა, რომ „რეალი" დღეს გასაჭირშია ჩავარდნილი, რობერტო კარლოსი მიიჩნევს, რომ გულშემატკივრებს არ აქვთ შეშფოთების საფუძველი. ბრაზილიელი ამბობს, რომ სულ მალე „სამეფო კლუბი" გააუმჯობესებს თამაშს. „გუნდში ყველას გვწამს, რომ სიტუაციის გამოსწორება შეიძლება. ალბათ კიდევ 3-4 მატჩი და ჩვენ ვაჩვენებთ თუ რა შეგვიძლია. ქომაგებს კი ვთხოვთ მოთმინებას". — ამბობს რობერტო კარლოსი — „რეალის" მცველი.

## ნორვეგიაში ფეხბურთის მუზეუმს ქმნიან

ნორვეგიაში მომავალი წლის აპრილში გაიხსნება ამ ქვეყნის პირველი საფეხბურთო მუზეუმი. ეს თარიღი ზუსტად ემთხვევა ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავს. ეს იქნება ევროპაში მესამე საფეხბურთო მუზეუმი ინგლისისა და შოტლანდიის ანალოგიური მუზეუმის შემდეგ.

არქიტექტორი ხელია ბორგერსენის მიერ შემუშავებული მუზეუმის პროექტის რეალიზებას უკვე შეუდგნენ ოსლოს ყველაზე დიდ და პრესტიჟულ სტადიონ „ულევზე".

## მარადონას ინგლისის კლუბის მწვრთნელობა სურს




დიეგო მარადონამ კიდევ ერთხელ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. ამჯერად საფეხბურთო ვარსკვლავი გამოვიდა განცხადებით, რომ იგი მიემგზავრება ინგლისში, სადაც გაწვრთნის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ კლუბს. მისივე თქმით, ერთი კლუბისგან მიღებული აქვს მიწვევა, მაგრამ ელოდება უფრო სერიოზულს. „ყოველთვის მომწონდა ინგლისის ფეხბურთი. მაგრამ ყველას ახსოვს რა მოხდა 1986 წელს და ცუდ ბიჭად მთვლიან" — თქვა მან. მარადონას, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელთა კარში ხელით გატანილი გოლი.

## კიდევ ორი ქართველი იტალიაში

კიდევ ორი ქართველი, თბილისის „ვიტ-ჯორჯიადან" ჩაირიცხა იტალიურ კლუბში: მცველი დათო დიღმელაშვილი და თავდამსხმელი ლევან მელქაძე. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ეს ორი წევრი ამიერიდან იტალიის „სერია B"-ს კლუბ „სიენაში" ითამაშებს.

## 8 მაისს, როტერდამში

უეფას თასის ფინალი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის დადგენილებით 8 მაისს როტერდამში (ჰოლანდია) გაიმართება. როტერდამის „ფეიენოორდის" („ფეიენოორდი" როტერდამის გარეუბანია) სტადიონს უფრო არაოფიციალურ სახელს „კუჲპს" („ყუთი") უწოდებენ. იგი 1937 წელს აშენდა, გადაკეთების შემდეგ 67 ათას მაყურებელს იტევს (47 ათასი დასაჯდომი ადგილია).

## შეკითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი!

***შეკითხვა:*** ***ინტერნეტით მინდა მოვიძიო მასალები „ლაციოზე". გთხოვთ მაცნობოთ ამ საფეხბურთო კლუბის საიტის მისამართი ინტერნეტში...***

***პასუხი:*** სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ. ინტერნეტში ოფიციალური საიტი „ლაციოს", რატომღაც არ გააჩნია.

***შეკითხვა:*** ***აქვს თუ არა საიტი ინტერნეტში არგენტინის ნაკრებს?***

***პასუხი:*** დიახ, აქვს, აი ისიც: http:WWW.afa.org.ari

***შეკითხვა:*** ***ამ წერილს თქვენი ელექტრონული ფოსტით გიგზავნით. ისრაელში ინტერნეტით ვკითხულობთ „ლელოს" ყოველ ახალ ნომერს. გული გვწყდება, რომ ტექსტებს არ ახლავს ფოტოები. რატომ?***

***პასუხი:*** სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს შეუძლებელია და ჩვენზე არ არის დამოკიდებული. საერთოდ, საქართველოდან გაზეთის ტექსტი ფოტოილუსტრაციების გარეშე ვრცელდება ინტერნეტით. ცხადია, ჩვენ გამონაკლისი ვერ ვიქნებით.

***შეკითხვა:*** ***მინდა ვიცოდე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების ზუსტი თარიღი. გთხოვთ მაცნობოთ...***

— ჩემპიონატი დაიწყება 2002 წლის 31 მაისს.

***შეკითხვა:*** ***მართლა კვიპროსში წავიდა დავით ყიფიანი?***

***პასუხი:*** არა, საიდან მოიტანეთ, კარგია, რომ ინფორმაცია ჩვენთან გადაამოწმეთ.

***შეკითხვა:*** ***გთხოვთ მიპასუხოთ, რომელ წელს გამოქვეყნდა პირველად საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელთა სია?***

***პასუხი:*** 1938 წელს.

**შეკითხვები მოგვწერეთ რედაქციაში ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით. მისამართზე:**

gazeti_lelo@hotmail.com

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# რა აქვთ საერთო „მილანსა" და „ურალანს"

მკითხველმა შეიძლება გაიკვირვოს: რა უნდა ჰქონდეს საერთო — ერთი მსოფლიო რანგისა და უდიდესი ამბიციების კლუბია, მეორე კი რუსეთის პირველი დივიზიონის მკვიდრი. ერთის მიზანია, დღეს იქნება თუ ხვალ, „სკუდეტო" და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, „ურალანი" კი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას ცდილობს.

საერთო, წარმოიდგინეთ, მაინც აქვთ...

პირველი ის გახლავთ, რომ ერთიც მილიარდერის პირადი საკუთრებაა და მეორეც. სილვიო ბერლუსკონი, ოდესღაც ღარიბ-ღატაკი სტუდენტი, სწავლის ფული რომ შეეტანა, კრუიზში მიმავალ გემებს დაჰყვებოდა და მოქეიფე ტურისტებს ფორტეპიანოზე დაკვრით ართობდა. სრულიად უფულო ყალმუხ სტუდენტ კირსან ილიუმჟინოვს ზოგჯერ „ტრამვაის ფულიც" არა ჰქონდა.

დღეს ბერლუსკონი არა მარტო ტელემაგნატია, არამედ იტალიის პრემიერ-მინისტრიც მეორედ გახდა, პრინციპის „ფორცა იტალიას" (ეს პარტიის სახელწოდებაც გახლავთ) განხორციელებას ცდილობს, ამომრჩევლებს საყოველთაო კეთილდღეობას ჰპირდება, გულშემატკივრებს (და, ცხადია, საკუთარ თავსაც!) „მილანის" გაჩემპიონებას.

კირსან ილიუმჟინოვი, შესაძლოა დღეისათვის ბერლუსკონიზე უფრო მდიდარია (ვინ დათვლის!). იგი ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტია და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელიც. მას რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტობა უნდოდა, მაგრამ...

პრეზიენტობა იქით იყოს, მაგრამ ელისტის „ურალანის" უძლიერესთა რიგებში დაბრუნება ილიუმჟინოვს ძალიან უნდა და ამ მიზანს, ეტყობა, მიაღწევს კიდეც. ახლა მისი გუნდი მეორე ადგილზეა იაროსლავლის „შინიკის" შემდეგ და მდევარი საგრძნობი მანძილით ჩამოიტოვა.

„მილანსა" და „ურალანს" კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო; ერთსაც ჰყავს ქართველი ფეხბურთელი და მეორესაც. თუ კახი კალაძეზე ბევრი რამ თქმულა, დღეს იური ოყროშიძესა და ზურაბ წიკლაურზე ვილაპარაკოთ.

იური ოყროშიძე ოდესღაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი მეკარე იყო, წამყვან კლუბებში გამოდიოდა და საიმედო თამაშითაც გამოირჩეოდა. პრესა ძალიან აქებდა, თუმცა ხშირმა ტრავმებმა გზა არაერთხელ გაუმრუდეს. როცა შარშან „ურალანს" რუსეთის უმაღლესი დივიზიონის დატოვება მოუხდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ნიჭიერი და უკვე მრავალნაცადი მეკარე მიიწვია და კაპიტნადაც აირჩია.




რა არის პროფესიონალი ფეხბურთელისათვის მთავარი? ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ეტყობა, არის ის, რომ თავისი შესაფერისი კლუბი აირჩიოს. რამდენ ნიჭიერ მოთამაშეს დაუკარგავს საკუთარი ძალების რწმენა, როცა შეუფერებელ გარემოცვაში მოხვედრილა და ისიც ვერ გაუკეთებია, რაც ადრე ნამდვილად შეეძლო. იმის თქმა გვინდა, რომ „ურალანში" იური ოყროშიძე ხელმეორედ გაახალგაზრდავდა. და ახლა არა თუ მხოლოდ (ულაპარაკოდ!) პირველი დივიზიონის უძლიერესი მეკარეა, არამედ უმაღლეს დივიზიონშიც ძალიან ბევრს სჯობია. დიახ, ბატონო — გაისად „ურალანი" წორედ უმაღლეს დივიზიონში ითამაშებს და გოლკიპერების შედარების უკეთესი საშუალებაც გვექნება.

ოყროშიძისა არ იყოს, „ურალანში" ძალიან „გამოიხედა" თავდამსხმელმა ზურაბ წიკლაურმაც. რამდენ წელს თამაშობდა იგი სამარის „კრილია სოვეტოვში". ჩვენს მამუკა მინაშვილსა და (ერთხანს!) დავით გვარამიძესთან ერთად! ზოგჯერ აქებდნენ, უფრო მეტად კი, აკრიტიკებდნენ.

„ურალანში" წელს გადასულ წიკლაურს ერთხანს არ გაუმართლდა — დაშავდა და გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდა. აი, ზაფხულში დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, თამაშში 12 გოლი გაიტანა და ახლა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია. მართალია, თვით ზურაბი მეტად თავმდაბლურად ამბობს, რომ „ჭეშმარიტ გზაზე" ახლანდელმა მწვრთნელმა სერგეი პავლოვმა დააყენა, საკუთარ ღირსებებზე კი არაფერს ლაპარაკობს.

● ***შეიძლება ითქვას, რომ „ურალანის" კოლექტივი ჩამოყალიბდა?***

— დიახ. ძალიან მეგობრული კოლექტივი ვართ, რომელიც საერთო მიზანმა გააერთიანა. ძალიან მომწონს გუნდის მორალური კლიმატი. ზოგჯერ თამაშის შემდეგ მწვადს შევექცევით, სასმელს კი არავინ ეკარება. აქ, ჩვენთან, მკაცრი კანონებია — უზარმაზარი ჯარიმის გადახდა არავის უნდა. ჩვენ ხომ სერიოზული ადამიანები ვართ.

**ბიჟი ბამრეკელი**

## „უცხოელი მსაჯები? არავითარ შემთხვევაში!"

**რუმინულ ფეხბურთში დიდი უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნა: პირველი დივიზიონის კლუბმა „უნივერსიტატეამ" (კრაიოვა) მოითხოვა, რომ მის ყველა მატჩს უცხოელებმა უმსაჯონ.**

**„უნივერსიტატეას" ხელმძღვანელობამ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მისი მატჩი ქვეყნის ჩემპიონ „სტიაუასთან" (ბუქარესტი) მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა — 4-1. „მგონი ვიღაც ძალიან დაინტერესებულია, რომ „სტიაუამ" თავისი წოდება შეინარჩუნოს" — ასე უთხრა ჟურნალისტებს სტუმრების კლუბის პრეზიდენტმა გეორგე [illegible]ტოიუმ.**

**„უნივერსიტატეას" ხელმძღვანელი ძალზე უკმაყოფილო იყო სორინ კარპოდიანის მსაჯობით. მან თქვა, რომ ასეთი მსაჯობით „სტიაუას" მის მინდორზე საერთოდ ვერავინ მოუგებს. ნეტოიუ განსაკუთრებით იმან ალაშფოთა, რომ რუმინელი მსაჯების ასოციაციის პრეზიდენტმა ნიკოლაე გრიგორესკუმ კარპოდიანს მაღალი შეფასება მისცა.**

**— თანახმა ვართ უცხოელ მსაჯებს მატჩში 7 ათასი დოლარი გადავუხადოთ საკუთარი ჯიბიდან. ეს მდგომარეობა ერთადერთი გამოსავალია. თუკი ამაზე არ დაგვთანხმდებიან, შეგვიძლია ჩემპიონატიც დავტოვოთ!**

**გრიგორესკუ თვლის, რომ „უნივერსიტატეას" სკანდალის ასატეხად არავითარი საბაბი არ ჰქონდა. „საკმაოდ კვალიფიცირებული მსაჯები გვყავს, მაგრამ მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ და მუშაობა დავაცადოთ".**

## თალარიგი აქედანვე დაიჭირეს

მადრიდის „რეალმა" გააფორმა ხელშეკრულება „მალიორკასთან" ახალგაზრდა თავდამსხმელ ალბერტო ლუკეს შეძენის შესახებ, ოღონდ ერთი თავისებური პირობით; ფორვარდი კიდევ ერთ სეზონს „მალიორკაში" დარჩება და დედაქალაქში მხოლოდ მომავალი წლის ზაფხულიდან გადავა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ იყო 1921-1954 წლებში ფიფას პრეზიდენტი:***
ა) დანიელ ბარლი
ბ) ჟიულ რიმე
გ) არტურ დრიური

***2. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა იყო:***
ა) სტრაიკერი (ლომის ბოკვერი)
ბ) ტიპი და ტაპი (პატარა ბიჭები)
გ) პიკე (წიწაკა)

***3. ვინ გახდა 1998 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი:***
ა) ზინედინ ზიდანი
ბ) ხრისტო სტოიჩკოვი
გ) რონალდო

***4. ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან, რომელს არ ჰქონდა ქვეყნის რაინდისა და „სერის" ტიტული:***
ა) ბობი ჩარლტონი
ბ) ბობი მური
გ) სტენლი მეტიუზი

***5. რომელი ფეხბურთელის ზედმეტსახელია „კონდორი":***
ა) სამორანო
ბ) გარსია ასპე
გ) რეკობა

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ა, 5 — გ.

## „ლაციო" ეძებს სპონსორებს

რომის „ლაციოს" აქციები იტალიის ბირჟაზე 3,65 პროცენტით დაეცა. ახლა კლუბის პრეზიდენტი სერჟიო კრანიოტი ეძებს ახალ სპონსორებს, რადგან მისი ხელმძღვანელობით არსებული კვების პროდუქტების ფირმა „Cirio" ვალებში ჩავარდა და კლუბს ახალი მოთამაშეების შესაძენი თანხა ძალიან შეუმცირდა.

## კორუფციაში ადანაშაულებენ

**ბრაზილიაში კორუფციაში არაერთი საფეხბურთო მწვრთნელი (მათ რიცხვში ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ვანდერლეი ლუქსემბურგო) და ფუნქციონერი დაადანაშაულეს.**

**ახლა კორუფციაში გარეული აღმოჩნდა „ვასკო და გამას" პრეზიდენტი, ქვეყნის პარლამენტის წევრი ეურიკო მედინა, რომელსაც კონკრეტული ბრალდებები წაუყენეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

მიუნხენი — ნიურნბერგი 1-0
შტუტგარტი — ჰერტა 0-0
კოტბუსი — ვოლფსბურგი 3-3
ფრაიბურგი — ჰანზა 1-1
დორტმუნდი — ბაიერნი 0-2
სტ. პაული — შალკე 0-2
მიოხენგლადბახი — ლევერკუზენი 0-1
კიოლნი — ჰამბურგი 2-1
კაიზერსლაუტერნი — ვერდერი 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლ. | 5 | 5 | 0 | 0 | 14-6 | 15 |
| დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-2 | 12 |
| ლევერკუზ. | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| კოტბუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-8 | 10 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| მიონხენგლად. | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| კიოლნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| მიუნხენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| ჰერტა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-7 | 4 |
| ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| ჰანზა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| ნიურნბერგი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |
| ვოლფსბურგი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-11 | 3 |
| სტ. პაული | 5 | 0 | 2 | 3 | 1-6 | 2 |

## ინგლისი

ჩელსი — არსენალი 1-1
დერბი — ვესტ ჰემი 0-0
ლიდსი — ბოლტონი 0-0
ლესტერი — იფსვიჩი 1-1
ლივერპული — ასტონ ვილა 1-3
მანჩესტერი — ევერტონი 4-1
მილდსბრო — ნიუკასლი 1-4
სანდერლენდი — ბლექბერნი 1-0
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი 2-0
ჩარლტონი — ფულემი 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-6 | 8 |
| ლიდსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-1 | 8 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-3 | 7 |
| ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| სანდერლენდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| ასტონ ვილა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ჩელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ფულემი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| დერბი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| იფსვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| ჩარლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| ვესტ ჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| ლესტერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-10 | 1 |
| საუთჰემპტ. | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| მიდლსბრო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-11 | 0 |

## იტალია

პერუჯა — ლაციო 0-0
რომა — უდინეზე 1-1
ატალანტა — იუვენტუსი 0-2
კიევო — ბოლონია 2-0
პარმა — ინტერი 2-2
პიაჩენცა — ლეჩე 1-2
ტორინო — ბრეშა 1-3
ვენეცია — ვერონა 0-1
მილანი — ფიორენტინა 5-2


პარმა — ინტერი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| კიევო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-4 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-3 | 4 |
| ბრეშა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| ლეჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| უდინეზე | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| პიაჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| ტორინო | 3 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| ვენეცია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |


კაიზერსლაუტერნი — ვერდერი

## ესპანეთი

ვილიარეალი — ოსასუნა 3-0
ბილბაო — მალიორკა 0-1
ბარსელონა — რაიო ვალეკანო 1-1
რეალი — მალაგა 1-1
ლას პალმასი — დეპორტივო 0-1
ბეტისი — ესპანიოლი 2-0
ვალიადოლიდი — ვალენსია 1-1
ალავესი — სოსიედადი 2-0
სელტა — ტენერიფე 3-0
სარაგოსა — სევილია 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ვილიარეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ალავესი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ლას პალმასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| სარაგოსა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| სევილია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| რაიო ვალეკ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ვალიადოლ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| სოსიედადი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| ტენერიფე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

## საფრანგეთი

მარსელი — ლიონი 0-0
ოსერი — მონპელიე 1-0
ლილი — გენგამი 1-0
მეცი — ბასტია 0-1
მონაკო — ტრუა 2-0
ნანტი — სედანი 1-1
პსჟ — ლანსი 2-2
რენი — ლორიანი 1-1
სოშო — ბორდო 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-3 | 14 |
| ლანსი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-4 | 14 |
| ლიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-3 | 13 |
| ლილი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 12 |
| სოშო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| პსჟ | 6 | 2 | 4 | 0 | 9-5 | 10 |
| ბასტია | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| ლორიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ტრუა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| გენგამი | 6 | 2 | 1 | 3 | 3-8 | 7 |
| რენი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-13 | 7 |
| მონპელიე | 6 | 1 | 3 | 2 | 5-4 | 6 |
| სედანი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-7 | 6 |
| ბორდო | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| მონაკო | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| მარსელი | 6 | 0 | 3 | 3 | 1-5 | 3 |
| მეცი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-9 | 3 |
| ნანტი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

## პორტუგალია

ალვერკა — ბოავიშტა 1-2
ბელენენსეში — მარიტიმუ 0-1
ლეირია — სპორტინგი 1-1
ჟილ ვისენტე — ფერეირა 1-1
სეტუბალი — სალგეირუში 3-0
ფარენსე — სანტა კლარა 1-0
ბეირა მარი — ბენფიკა 3-3
პორტუ — ვარზიმი 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 3 | 0 | 1 | 10-3 | 9 |
| ბოავიშტა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 10-7 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| გიმარაეში | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| ლეირია | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| ალვერკა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| მარიტიმუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| ფარენსე | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| სტ. კლარა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| ბეირა მარი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| ბრაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| ფერეირა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| ბელენენსეში | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| ვარზიმი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| სალგეირუში | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

## ჰოლანდია

ჰერენვენი — ვიტესი 1-1
როდა — გრააფსხაპი 0-1
ტვენტე — აიქასი 0-2
პსვ — სიტარდი 3-0
ალკმაარი — ბრედა 2-1
ნაიმეგენი — ფეიენოორდი 0-3
სპარტა — ვალვაიკი 0-0
ტილბურგი — დენ ბოსხი 1-1
უტრეხტი — გრონინგენი 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-2 | 9 |
| ვიტესი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| ტილბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| გრააფსხაპი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| აიაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| პსვ | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| ტვენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| ალკმაარი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 5 |
| დენ ბოსხი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-4 | 5 |
| ვალვაიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-2 | 4 |
| ნაიმეგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| ბრედა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| გრონინგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-9 | 4 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-9 | 4 |
| სიტარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 4 |
| უტრეხტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| როდა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |

## ბელგია

მუსკრონი — შარლერუა 0-1
ლუვიე — ლიერსი 0-0
ანდერლეხტი — გენკი 3-3
ვესტერლო — ლომელი 6-0
სტ. ტრუიდენი — სტანდარდი 1-1
ბევერენი — აალსტი 0-4
მოლენბეკი — ბეერსხოტი 2-2
ანტვერპენი — ბრიუგე 1-2
ლოკერენი — გენტი 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 4 | 0 | 0 | 13-4 | 12 |
| გენტი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-3 | 12 |
| აალსტი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| ანდერლეხტი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-5 | 8 |
| სტანდარდი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| გენკი | 4 | 2 | 1 | 1 | 13-8 | 7 |
| სტ. ტრუიდ. | 4 | 2 | 1 | 1 | 10-8 | 7 |
| შარლერუა | 4 | 2 | 1 | 1 | 2-3 | 7 |
| ლიერსი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| ლომელი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-9 | 6 |
| ბეერსხოტი | 4 | 1 | 2 | 1 | 11-8 | 5 |
| ვესტერლო | 4 | 1 | 0 | 3 | 9-9 | 3 |
| ანტვერპენი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| მოლენბეკი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |
| ლოკერენი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-5 | 1 |
| ლუვიე | 4 | 0 | 1 | 3 | 4-16 | 1 |
| ბევერენი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-16 | 1 |
| მუსკრონი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-6 | 0 |

## ჩეხეთი

სიგმა — სპარტა 0-3
ბანიკი — ტეპლიცე 0-2
ჟიჟკოვი — ბლშანი 2-2
დრნოვიცე — სინოტი 1-.
პრ. კრალოვე — ოპავა 2-0
პრჟიბრამი — ლიბერეცი 1-1
იაბლონეცი — ბოჰემიანსი 0-0
სლავია — ბრნო 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟიჟკოვი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| ბოჰემიანსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-3 | 13 |
| სლავია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-10 | 13 |
| სპარტა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-6 | 12 |
| ბანიკი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-7 | 12 |
| ლიბერეცი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| ბლშანი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-10 | 10 |
| იაბლონეცი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| სინოტი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| ბრნო | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| დრნოვიცე | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| პრ. კრალოვე | 6 | 2 | 0 | 4 | 5-15 | 6 |
| სიგმა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-9 | 5 |
| ტეპლიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |
| პრჟიბრამი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| ოპავა | 6 | 0 | 1 | 5 | 5-13 | 1 |

## პოლონეთი

A ჯგუფი

ზაგლემბე — გურნიკი 3-1
ვიძევი — პოლონია 0-3
ოდრა — ოსტროვეცი 2-1
კატოვიცე — ვისლა 1-5

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 7 | 5 | 1 | 1 | 17-7 | 16 |
| ოდრა | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| პოლონია | 7 | 3 | 3 | 1 | 14-8 | 12 |
| ზაგლემბე | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| კატოვიცე | 6 | 2 | 2 | 2 | 8-12 | 8 |
| ოსტროვეცი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-6 | 5 |
| გურნიკი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-12 | 5 |
| ვიძევი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-14 | 3 |

B ჯგუფი

ლეგია — პოგონი 3-0
ამიცა — რუხი 2-0
გროცლინი — სტომილი 2-0
შლიონსკი — რადომსკო 0-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 7 | 5 | 2 | 0 | 15-7 | 17 |
| ლეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 17-6 | 13 |
| პოგონი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| გროცლინი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| შლიონსკი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| რადომსკო | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| სტომილი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-15 | 5 |
| რუხი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |

## თურქეთი

ანკარა — გენჩლერი 2-5
დიარბაქი — ტრაბზონი 3-1
ბურსა — გაზიანთეფი 0-2
გალათასარაი — ანთალია 2-1
იოზგათი — მალათია 3-0
ქოჯაელი — ფენერბახჩე 3-3
სამსუნი — ბეშიქთაში (შეწყდა)
დენიზლი — რიზე 1-2
ისტანბული — გიოზტეპე 0-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-5 | 10 |
| გიოზთეფე | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| ისტანბული | 4 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| ტრაბზონი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| ქოჯაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| ფენერბახჩე | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| იოზგათი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-9 | 7 |
| ანკარა | 4 | 2 | 0 | 2 | 17-10 | 6 |
| გენჩლერბირ. | 4 | 1 | 2 | 1 | 11-9 | 5 |
| გაზიანთეფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| დენიზლი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-3 | 4 |
| დიარბაქი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-11 | 4 |
| რიზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| სამსუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| ბურსა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| ანთალია | 4 | 0 | 1 | 3 | 6-16 | 1 |
| მალათია | 4 | 0 | 0 | 4 | 0-12 | 0 |

## შოტლანდია

აბერდინი — კილმარნოკი 2-0
სელტიკი — დანფერმლაინი 3-1
დანდი — სტ. ჯონსტონი 1-1
მოზერუელი — ჰიბერნიანი 1-3
ჰართსი — რეინჯერსი 2-2
ლივინგსტონი — დანდი იუნ. 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| რეინჯერსი | 6 | 3 | 3 | 0 | 13-5 | 12 |
| ჰართსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| ლივინგსტონი | 6 | 2 | 3 | 1 | 4-8 | 9 |
| ჰიბერნიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-11 | 8 |
| კილმარნოკი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| დანდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| დანდი იუნაიტ. | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| აბერდინი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| დანფერმლაინი | 6 | 2 | 0 | 4 | 11-13 | 6 |
| მოზერუელი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-14 | 3 |
| სტ. ჯონსტონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-10 | 2 |

## ავსტრია

ბრეგენცი — აუსტრია 2-2
გრაცერი — ზალცბურგი 1-1
რაპიდი — ადმირა 0-1
რიდი — შტურმი 2-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 8 | 6 | 2 | 0 | 19-0 | 20 |
| შტურმი | 9 | 6 | 2 | 1 | 19-7 | 20 |
| გრაცერი | 10 | 4 | 3 | 3 | 19-11 | 15 |
| აუსტრია | 10 | 3 | 5 | 2 | 15-13 | 14 |
| ზალცბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| რიდი | 10 | 2 | 5 | 3 | 17-17 | 11 |
| რაპიდი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-16 | 11 |
| კერნტენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-15 | 11 |
| ადმირა | 10 | 2 | 1 | 7 | 8-21 | 7 |
| ბრეგენცი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-22 | 7 |

## შვეიცარია

ლუგანო — ქსამაქსი 3-1
იანგ ბოისი — არაუ 2-1
გრასჰოპერი — ბაზელი 1-0
ლუცერნი — ციურიხი 3-0
სერვეტი — სტ. გალენი 1-2
სიონი — ლოზანა 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-10 | 19 |
| იანგ ბოისი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-14 | 18 |
| გრასჰოპერი | 10 | 5 | 2 | 3 | 24-13 | 17 |
| ლუგანო | 10 | 5 | 2 | 3 | 16-15 | 17 |
| ციურიხი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-14 | 16 |
| სერვეტი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| არაუ | 10 | 3 | 4 | 3 | 13-11 | 13 |
| ქსამაქსი | 10 | 2 | 5 | 3 | 7-9 | 11 |
| ბაზელი | 9 | 3 | 2 | 4 | 16-19 | 11 |
| სტ. გალენი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-20 | 11 |
| ლოზანა | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| ლუცერნი | 10 | 1 | 2 | 7 | 11-25 | 5 |

## დანია

კოპენჰაგენი — ოდენსე 1-1
ვიბორგი — სილკებორგი 2-0
ოლბორგი — ბრონდბიუ 1-3
აკადემისკი — ლიუნგბიუ 3-1
მიდტიულანდი — ესბიერგი 0-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 7 | 6 | 0 | 1 | 24-3 | 18 |
| ოლბორგი | 7 | 5 | 0 | 2 | 13-9 | 15 |
| კოპენჰაგენი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| აკადემისკი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| ლიუნგბიუ | 7 | 2 | 4 | 1 | 8-7 | 10 |
| ვიბორგი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| მიდტიულანდი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-5 | 9 |
| ვეილე | 6 | 2 | 2 | 2 | 10-11 | 8 |
| ოდენსე | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| ესბიერგი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-13 | 7 |
| ორჰუსი | 6 | 0 | 2 | 4 | 1-10 | 2 |
| სილკებორგი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-15 | 2 |

## ნორვეგია

ტრომსიო — ბრინი 2-2
ვიკინგი — ლინი 2-0
ბრანი — ლილესტრიომი 1-1
რუსენბორგი — სოგნდალი 3-1
ბოდო გლიმტი — სტაბეკი 2-2
მოლდე — ოდ გრენლანდი 6-1
მოსი — სტრიომ გოდსეტი 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 21 | 14 | 5 | 2 | 61-25 | 47 |
| ვიკინგი | 21 | 13 | 5 | 3 | 39-21 | 44 |
| ლილესტრ. | 20 | 13 | 4 | 3 | 49-26 | 43 |
| ბრანი | 21 | 11 | 5 | 5 | 56-34 | 38 |
| მოლდე | 21 | 11 | 4 | 6 | 49-35 | 37 |
| სტაბეკი | 21 | 11 | 2 | 8 | 39-35 | 35 |
| ოდ გრენლან. | 20 | 9 | 4 | 7 | 37-32 | 31 |
| მოსი | 21 | 8 | 2 | 11 | 30-38 | [illegible] |
| ლინი | 21 | 5 | 7 | 9 | 35-39 | 22 |
| სოგნდალი | 21 | 6 | 4 | 11 | 33-50 | 22 |
| ბოდო გლიმტი | 21 | 4 | 8 | 9 | 31-39 | 20 |
| სტრიომგოდს. | 21 | 3 | 7 | 11 | 34-62 | 16 |
| ტრომსო | 21 | 4 | 2 | 15 | 18-43 | 14 |
| ბრინი | 21 | 3 | 3 | 15 | 22-54 | 12 |

## ფინეთი

ტამპერე — კუოპიო 1-0
იოკერიტი — ჰაკა 0-1
ინტერი — მიუპა 0-2
როვანიემი — ლაჰტი 1-1
ატლანტისი — ჯაზი 3-1
ვაასა — ჰიკი 0-2


ლეირია — სპორტინგი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 25 | 14 | 8 | 3 | 47-13 | 50 |
| მიუპა | 25 | 14 | 7 | 4 | 38-20 | 49 |
| ტამპერე | 25 | 14 | 5 | 6 | 36-28 | 47 |
| ჰაკა | 24 | 13 | 5 | 6 | 36-18 | 44 |
| ინტერი | 26 | 12 | 4 | 10 | 36-34 | 40 |
| ატლანტისი | 24 | 9 | 8 | 7 | 32-31 | 35 |
| ვაასა | 23 | 8 | 2 | 13 | 26-38 | 26 |
| იოკერიტი | 25 | 7 | 5 | 13 | 26-40 | 26 |
| ლაჰტი | 24 | 6 | 7 | 11 | 28-35 | 25 |
| როვანიემი | 26 | 5 | 8 | 13 | 20-36 | 23 |
| კუოპიო | 24 | 5 | 7 | 12 | 17-33 | 22 |
| ჯაზი | 25 | 4 | 8 | 13 | 22-38 | 20 |

## რუსეთის თასი

(1/16 ფინალი)

კრისტალი — დინამო 2-3
ხიმკი — ანჟი 2-2 (2-4 პენ)
ყუბანი — ჩერნომორეცი 2-0
ნეფტეხიმიკი — ტორპედო ზილი 0-3
გაზოვიკი — როტორი 3-1
ამკარი — ტორპედო 3-0
არსენალი — სატურნი 0-2 (დ.დ.)
ლოკომოტივი (კალუგა) — ზენიტი 0-3
სალიუტი — კრილია სოვეტოვი 0-2
რუბინი — ფაკელი 1-0
სვეტოტეხნიკა — ცსკა 0-2
ლადა — ალანია 2-1
ტომი — სოკოლი 0-1
ნოსტა — როსტსელმაში 3-2

# ედმუნდო – მეტსახელად, მხეცი

**მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა შორის ყოველთვის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სახელი გაითქვეს მარტო მწვანე მინდორზე კი არა, მის მიღმა რომ სკანდალურობითაც გამოირჩევიან. მაგალითად, ჯორჯ ბესტი ყველას ანცვიფრებდა ალკოჰოლისადმი ძლიერი მიდრეკილებითაც, პოლ გასკოინის ღვარძლიანი გამოხდომებისაგან ოხრავდნენ თანაკლუბელები, მარადონა კი დიდხანს ვერ ძლებდა უკოკაინოდ და ა.შ. მათ შორის თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული ჩვენს გმირს, რომელსაც ხშირად უწოდებენ ნაირგვარი ბოროტების გროვას.**

## მინდორზე ყოველ შემხვედრს სახეში სილას ანნავს

საფეხბურთო კარიერა ედმუნდომ საკმაოდ წარმატებით დაიწყო, და ჭაბუკობიდანვე, როცა ბრაზილიის ახალგაზრდულ გუნდ „ბოტაფოგოში" გამოდიოდა, ადგილობრივი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ორიოდე



წლის შემდეგ ფეხბურთელი უკვე პოპულარული გახდა სამშობლოში, ამის მიღწევა ბრაზილიაში, სადაც უამრავი მაღალი კლასის ფეხბურთელია, სულაც არ გახლავთ იოლი. მაგრამ, რაც უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა, მით უფრო თავს იჩენდა მისი ალვირახსნილობა. ედმუნდომ პირველად გამოაჩინა ბრჭყალები 1994 წელს, როცა მისი „პალმეირასი" „სან-პაულუს" ხვდებოდა. მეტოქე რომ დაწინაურდა (2-0), ამას ედმუნდოს მძვინავარება მოჰყვა. და ამ დროს „მტრის" სათადარიგოთა სკამიდან შხამიანი სიტყვები გაისმა: „ბანდიტო და ნარკომანო, მოშორდი!". ედმუნდომ შეურაცხმყოფელი სამსართულიანი გინებით „შეამკო", რის შემდეგაც, ვინც კი მოიხელთა „მტერთაგან", ლამის ფეხი მოსტეხა. მაშინ კი, მისი ძველი მტერი ჟუნინიო მივარდა ედმუნდოს, რისთვისაც ყურისძირში ალიყური მიიღო. მომდევნო დაზარალებული მცველი ანდრე აღმოჩნდა, რომელსაც ედმუნდომ წარბი გაუხეთქა. ატყდა დიდი მუშტი-კრივი, რაც ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა. ედმუნდომ კი რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. სწორედ ამ შემთხვევის გამო ბრაზილიელს მხეცის სახელი მიეწება.

თაყვანისმცემლების მხარდაჭერით, ედმუნდო დაუღალავად ამტკიცებდა, რომ ტყუილად არ შეურქმევიათ ეს მეტსახელი. როცა მისმა გუნდმა ლიბერტადორესის თასის მორიგი მატჩი დათმო ურუგვაის „ნაციონალთან", ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, რომ ვიღაცას უნდა ეგო პასუხი ამაზე. და სწორედ ამ დროს რეპორტიორმა გაბედა და ჰკითხა. ბრაზილიელი არც დაფიქრებულა, ჯერ ყბაში ხეთქა, შემდეგ წიხლით დაუმტვრია კამერა. ეს ეკვადორში მოხდა; ადგილობრივმა ჟურნალისტთა ასოციაციამ ვერ მოითმინა მსგავსი შეურაცხყოფა და ფეხბურთელს სასამართლოში უჩივლა, დაადგინეს, სარჩელის განხილვამდე ედმუნდო ქვეყნიდან არ გაეშვათ. გარჩევამდე იგი სასტუმროს ნომრიდან არ უნდა გამოსულიყო. თავდაპირველად ტემპერამენტიანი ბრაზილიელი ბორგავდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა უკან დაეხია, ვინაიდან ჩახუთულ ნომერში ვერ ძლებდა. ხელისუფალთ ბოდიში მოუხადა და გამოუშვეს, პერსონა ნონ გრატას სტატუსით.

ბრაზილიაში დაბრუნებისთანავე ედმუნდომ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც მორიგ მონანიებას მოჰყვა და დაიფიცა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ერთი დღის შემდეგ კი პოლიციამ დააკავა, როცა იგი საკუთარ ნომერში ორი მსუბუქი ყოფაქცევის არსების შეტყუებას ცდილობდა. ამის შემდეგ აბა, ვიღა დაუჯერებდა ბრაზილიაში შემდგომ ბოდიშებს... თუმცა ედმუნდო არც აპირებდა კალაპოტში ჩადგომას. 1995 წელს მისი მიზეზით სამი ადამიანი დაიღუპა. მორიგი მოლხენის შემდეგ, შინ რომ ბრუნდებოდა, სხვის მანქანას შეეჯახა. ავარიაში გონზე მოუსვლელად დაიღუპა სამი კაცი, ფეხბურთელი კი მხოლოდ მეორე დილით მიხვდა თავის შეცდომას. ამ შემთხვევის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა შელეოდა უმართავ ვარსკვლავს და „კორინტიანსს" მიჰყიდა.



## ედმუნდომ რიოს კარნავალისათვის განირა გულშემატკივრები

როცა ვლაპარაკობთ ედმუნდოზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ რიოში ბრაზილიური კარნავალებისადმი მისი მანიაკური გაშმაგება. რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, რიო-დე-ჟანეიროში გამგზავრება წმინდა საქმეა ედმუნდოსათვის. ამის გამო მას მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა იტალიურ „ფიორენტინასთან". პირველად ისე მოუსვა კარნავალზე, არც კი გაუფრთხილებია ვინმე. მოგვიანებით თქვა, რომ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, ვინაიდან მწვრთნელს იგი სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა განწესებული. რამდენიმე დღის შემდეგ ედმუნდოს მხიარულებას კიდევ ერთი გასეირნების მოყვარული — დიეგო მარადონა შეუერთდა. არგენტინელი ედმუნდოს დასაცავად გამოვიდა, განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მას აქვს ასეთი მოდუნების უფლება, და თუ „ფიორენტინამ" იგი შეიძინა, მაშინ სათადარიგოთა სკამი კი არ უნდა ახეხინოს, ფეხბურთი უნდა ათამაშოს. ბოლოს და ბოლოს ჭირვეული ბრაზილიელი დაბრუნდა იტალიაში, სადაც კლუბის ხელმძღვანელობამ 200 000 $ ჯარიმა გადაახდევინა „დაუმორჩილებლობისათვის". მაგრამ პრობლემები ამით არ დამთავრებულა.

## „ეს თქვენი ბატისტუტა ჩემი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს"

მომდევნო სეზონში ედმუნდო მოულოდნელი განცხადებით გამოვიდა, რომ მას არ მოსწონს „ფიორენტინაში" ყოფნა და რომ კლუბის ვარსკვლავი გაბრიელ ბატისტუა მისი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს. ვინაიდან „ჩემი იუველირული გადაცემები რომ არა, ეს თქვენი ბასტისტუტა მშრალზე დარჩებოდა!" ამის შემდეგ მან მილიონობით გულშემატკივართა კერპთან ურთიერთობაზე დემონსტრატულად თქვა უარი. აღარ უნდა ლაპარაკი, რომ ასეთი ენაჭარტალობის შემდეგ ბრაზილიელმა თავის საწინააღმდეგოდ საბოლოოდ განაწყო ადგილობრივი ტიფოზები, რომლებიც სულში იძვრენდნენ [illegible] ელს. ფანატებმა ედმუნდო მორიგ ფესტივალზე ღორული გამოხდომის გამო საბოლოოდ შეიძულეს. საქმე ის იყო, რომ მანამდე, რამდენიმე ხნით ადრე სერიოზულად დაშავდა ბატისტუტა და იტალიელთა ერთადერთ იმედად ედმუნდო დარჩა. მაგრამ მან კლუბის ხელმძღვანელობისა და ფანატთა მუდარა არ შეისმინა და ბრაზილიაში მოუსვა სამბოს საცეკვაოდ. ფესტივალის დღეებში, სხვათა შორის, წარსდგა სასამართლოს წინაშე კატასტროფის გამო, რომელშიც მას მიუძღოდა ბრალი, რის შემდეგაც რამდენიმე დღე გაატარა საერთო კამერაში. ამის შემდეგ „ფიორენტინადან" გააძევეს და ედმუნდო „ვასკო და გამაში" დაბრუნდა. იქ გაუთავებელი ჩხუბი ჰქონდა პრეზიდენტ ერიკო მირანდასთან და ორჯერ კლუბის ხელმძღვანელობამ დისკვალიფიკაცია მისცა.

## ვაჟის დაბადების დღეზე შიმპანზესთან ერთად გამოტყვრა

თითქოს დადგა დრო ჭკუაში ჩავარდნისა, ნორმალურ ცხოვრებაზე ფიქრის, მაგრამ სკანდალურად ცნობილი ბრაზილიელი თავისას არ იშლის და კვლავინდებურად „გიჟობს". მისი ბოლო გამოხდომა სასამართლო განხილვით დამთავრდა. ვაჟის დაბადების დღის აღსანიშნავად ედმუნდომ ღრეობა მოაწყო და სტუმრების გასართობად მოხეტიალე ცირკი მოიწვია. იუბილარმა რამდენიმე საათი კლოუნების, მაიმუნებისა და სპილოების მხიარულ „საზოგადოებაში" გაატარა. მაგრამ მამამ მეტად მოილხინა, რომელიც კლოუნებთან ცეკვავდა, მერე ლუდით გაჭყიპა საბრალო შიმპანზე. ფეხბურთელს ძალიან მოეწონა, როცა ცხოველი მის ყოველ მიახლოებაზე კივილს იწყებდა და უარზე იყო სასმელის მორიგ ულუფაზე, რომელსაც ფეხბურთელი თავის შესაქცევად ძალით პირში ასხამდა. მეორე დღეს დებოშის თავს ქალაქის ხელისუფლებამ ბრალი დასდო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და სასამართლო გარჩევის შედეგად მას 100 000 დოლარი ჯარიმის გადახდა მოუხდა, ცხოველთა მკაცრი მოპყრობისათვის...

**მოამზადა „ლელოს" ფეხბურთის განყოფილებამ**

# მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# 5 ფინალისტი აფრიკიდან

**აფრიკას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში 5 საფინალო ადგილი განეკუთვნა. წინასწარი თამაშების შემდეგ ჩამოყალიბდა 5 ჯგუფი, საიდანაც გამარჯვებულები იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გამგზავრების საგზურებს მიიღებდნენ. თამაშები ორ წრედ მიმდინარეობდა.**

## A ჯგუფი

აქ მოხვდნენ კამერუნი, ანგოლა, ზამბია, ტოგო და ლიბია. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო — კამერუნის ნაკრებს სერიოზული მეტოქე არ უნდა ჰყოლოდა. ეს გუნდი ხომ სისტემატურად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ნაწილში, 2000 წელს აფრიკის თასს დაეუფლა, სიდნეის ოლიმპიადაზეც გაიმარჯვა. სად არ გამოდიან კამერუნელი ფეხბურთელები — მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ლიგაში.

საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ კამერუნის ფეხბურთის მესვეურები მაინც მეტად ნერვიულობდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი 4 მატჩის მოგების შემდეგ მეხუთე სტუმრად ანგოლელებთან რომ წააგეს, მაშინვე მთავარი მწვრთნელი ჟან-პოლ აკინო გაანთავისუფლეს. ეს ის სპეციალისტია, რომლის ხელმძღვანელობითაც „დაუოკებელმა ლომებმა" სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს. იგი ფრანგმა პიერ ლეშანტრმა შეცვალა და უზრუნველყო ფინალის საგზურის მოპოვება. კამერუნელებმა რვა მატჩიდან 6 მოიგეს, 1 ფრედ დაასრულეს და 1 წააგეს, ბურთები 14-4. აქედან 6 პატრიკ მბომამ გაიტანა. კამერუნელებმა 19 ქულა მოაგროვეს, ექვსით მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე გასულმა ანგოლელებმა. 11 ქულა აქვთ ზამბიელებს, 9 — ტოგოს ნაკრებს, 2 — ლიბიელებს.

საინტერესოა, რომ პიერ ლეშანტრსაც არ დასცალდა დიდხანს მუშაობა. ივნისში კამერუნის ნაკრებს სუსტი შედეგები ჰქონდა კონფედერაციის თასზე. ლეშანტრი კიდევ ერთი ფრანგით — რობერ კორფუთი შეცვალეს. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ახლა მის შემცვლელსაც ეძებენ. სხვა სპეციალისტები ერიდებიან კამერუნელებთან დაკავშირებას, რახან იქ მწვრთნელებს ასე უცერემონიოდ, რომ იტყვიან, ტყაპა-ტყუპით ხსნიან. ნაკრები კი, რა თქმა უნდა, ძლიერი ფეხბურთელებისგან შედგება და სათანადო მომზადების შემთხვევაში მსოფლიო პირველობაზე ურიგო შედეგს არ უნდა მიაღწიოს.

## B ჯგუფი

მიმომხილველთა აზრით, ახლა ნიგერიის ნაკრები ყველაზე ძლიერია აფრიკაში. ამიტომ მას თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა პირველ ადგილზე გასვლა, თუმცა სინამდვილეში ასე არ მოხდა. ელოდნენ, რომ მას ძირითად წინააღმდეგობას მაინც განელები გაუწევდნენ, რომლებსაც დიდი წარმატებები აქვთ ახალგაზრდულ ფეხბურთში. აი შემდეგ კი, განელები ბევრს ვერაფერს აჩვენებენ, რაც ამ ტურნირშიც სავსებით დადასტურდა. ძალიან მოულოდნელი იყო ლიბერიელების წარმატება. ამ ნაკრების სპონსორი, მთავარი მწვრთნელი და წამყვანი მოთამაშე ახლა სახელგანთქმული ვეტერანი ჟორჟ ვეა გახლავთ.

ერთი სიტყვით, ნიგერიელებმა, რომელთაც ადგილობრივი სპეციალისტი შაიბუ ამოდუ წვრთნის (რომელმაც ჰოლანდიელი ჯო ბონფრერე შეცვალა), დიდი გაჭირვებით მოიპოვეს პირველი ადგილი. მათ მოიგეს 5 მატჩი, 1 ფრედ დაასრულეს, 2 წააგეს, 16 ქულა მოაგროვეს, ბურთები — 15-3.

საინტერესო თავგადასავალი გადახდათ მეორე ადგილზე 15 ქულით გასულ ლიბერიელებს (5 მოგება, 3 წაგება, 10-8), რომლებიც ნიგერიელების დიდი კონკურენტები იყვნენ. მონროვიაში განელებთან შეხვედრის წინ ნიგერიის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც ვეასა და მის მხარდამჭერებს ამტყუნებდა განელების მოსყიდვაში. სხვა გაზეთებმა დაუყოვნებლივ გადაბეჭდეს ეს ცნობა, თუმცა, რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა. განელი მოთამაშეები აღშფოთდნენ, და, თუმცა სატურნირო მდგომარეობა დიდად არ ეცვლებოდათ, მოიგეს ეს შეხვედრა. ამის შემდეგ ლიბერიელებს კიდევ რჩებოდათ ფინალში გასვლის ერთგვარი შესაძლებლობა, მაგრამ საამისოდ უნდა მოეგოთ გასვლითი მატჩი უშუალო მეტოქეებთან — ნიგერიელებთან. ეს მათ ვერ შეძლეს და სასტიკადაც დამარცხდნენ — 0-3.

## C ჯგუფი

სპეციალისტებს ძალიან გაუჭირდათ ამ ჯგუფში წინასწარი ფავორიტის დასახელება. საქმე ის არის, რომ 5 მონაწილეს შორის ოთხს აშკარად ჰქონდა ფინალში გასვლის პრეტენზია. მაროკოელებმა, როგორც გახსოვთ, ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში საფრანგეთში. ეგვიპტეში ფეხბურთი აშკარად აღორძინების გზას დაადგა, რაც მისი საკლუბო გუნდების წარმატებიდანაც ჩანს. ალჟირელებსაც კარგი ოსტატები ჰყავთ, იგივე ითქმის სენეგალელებზეც, რომელთა დიდი ჯგუფი ახლა საფრანგეთის პირველ დივიზიონში თამაშობს. რჩებოდა ერთი აუტსაიდერი — ნამიბია, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ იგი დაღუპავდა ერთ-ერთ წამყვან ნაკრებს.

როცა პირველ ტურში ნამიბიელებისა და მაროკოელების მატჩი ნულოვანი ფრეთი დამთავრდა, ამას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციეს. თურმე ნუ იტყვით, სწორედ ამან გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. საბოლოოდ სენეგალელებმა და მაროკოელებმა 15-15 ქულა მოაგროვეს. დებულების თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბურთების სხვაობას, რომელიც სენეგალელებს უკეთესი აღმოაჩნდათ. — 14-2, მაროკოელებს კი 8-3.

ამრიგად, სენეგალის ნაკრები, რომელსაც წვრთნის ფრანგი ბრუნო მეტიუ, ისტორიაში პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. მან მოიგო 4 მატჩი, 3 ფრედ დაასრულა და 1 წააგო. სენეგალის დაცვა დიდი სიმტკიცით გამოირჩეოდა, მან სულ ორი გოლი გაუშვა, ყველაზე ნაკლები ხუთივე აფრიკულ ჯგუფში. საინტერესოა, რომ მცველი კებე ახლა მოსკოვის „სპარტაკის" შემადგენლობაშია, მეორე კი ნ'დიაიე დონეცკის „შახტარში" თამაშობს. ყურადღება მიიპყრო ფრანგული „ლანსის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა ელჰაჯი დიუფმა, რომელმაც რვა გოლი გაიტანა.

## D ჯგუფი

წინასწარ ასე ითვლებოდა: პირველი ადგილისათვის ტუნისელები და კოტ დ'იუვარის ნაკრები იბრძოლებდნენ, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მადაგასკარისა და (უბრალოდ) კონგოს გუნდები კი მათ სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. დაახლოებით ასეც მოხდა.

ტუნისელებისა და კოტ დ'იუვარის ნაკრებების , ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. მაგრამ თუ ტუნისელებმა ყველა დანარჩენი მატჩი მოიგეს, კოტ დ'იუვარის გუნდი დამარცხდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან, ფრედ ითამაშა კონგოს ნაკრებთან და საბოლოოდ ლიდერს საგრძნობლად ჩამორჩა.

ტუნისის ნაკრებმა 5 ჯგუფში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა — 20. მან მოიგო 6 მატჩი, 2 ფრედ დაასრულა. არ დამარცხებულა, ბურთები — 23-4, ძალზე გაწონასწორებული თამაში აჩვენა.

კოტ დ'იუვარის ნაკრებმა 15 ქულა მოაგროვა, მისი თავდამსხმელი იბრაიმ ბაკაიოკო, რომელიც მარსელის „ოლიმპიკში" გამოდის, 11 გოლით აფრიკული ჯგუფების №1 სნაიპერი გახდა.

10 ქულა მოაგროვა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა, 6 — მადაგასკარელებმა, 5- კონგოელებმა.

## E ჯგუფი

კარგად არის ცნობილი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრების ძალა. ამ ჯგუფში (საიდანაც პოლიტიკური მოტივებით გარიცხეს გვინეის ნაკრები), დიდი ბრძოლა არც ყოფილა. სამხრეთაფრიკელებმა 6 მატჩიდან მოიგეს 5, 1 ფრედ დაასრულეს, ბურთები — 10-3. 16 ქულა მოაგროვეს. მართალია, ზიმბაბვესთან სტუმრად შეხვედრის დროს დიდი არეულობა მოხდა. მას შემდეგ, რაც ბენი მაკარტიმ სტუმართა ნაკრებიდან 83-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ტრიბუნებზე აურზაური დაიწყო. მას 14 ადამიანი შეეწირა. შედეგი (2-0 სამხრეთაფრიკელების სასარგებლოდ) გაპროტესტებული იქნა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძალაში დატოვეს.

12 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ზიმბაბველებმა, 5 ქულა მოაგროვა ბურკინა-ფასოს ნაკრებმა, მხოლოდ 1 — მალავის გუნდმა.

**ბივი თორელი**

# აშშ-ის ღია პირველობაზე




ვენუს უილიამსი

ნაალმდეგობა ვერ გაუწია უფროს დას, ვენუს უილიამსს. ანგარიშია 6:4, 6:2. ამის შემდეგ ფინალში სწორედ დები გავიდნენ, შედგა მათი უშუალო შეხვედრა, რაც უილიამსებს ძალიან არ უყვართ, თუმცა ამჯერად მეტი რაღა ჩარა იყო.

ქალთა ფინალი შაბათს გამართა, როცა ჩვენთან უკვე კვირა იყო. იგი სულ 1 საათსა და 9 წუთს გაგრძელდა. გაიმარჯვა უფროსმა დამ – ვენუსმა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, შარშანაც ფლეშინგ მიდოუზე პირველი იყო. ანგარიშია 6:2, 6:4. ვენუს უილიამსმა მიილო ფულადი ჯილდო – 840 ათასი დოლარი.

ვაჟთა ნახევარფინალების წინ უნდა გამართულიყო საჩვენებელი მატჩი წარსულის ლეგენდარულ ჩოგბურთელებს ჯონ მაკინროისა და ბორის ბეკერს შორის, მაგრამ ბოლო მომენტში ვარჯიშისას გერმანელს ძველმა ტრავმამ გაუხსენა და შეხვედრაც არ შედგა.

რუსი ჩოგბურთელები ნახევარფინალამდე კი მივიდნენ, მაგრამ სასტიკი მარცხი იწვნიეს. 20 წლის ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა პირდაპირ გაანადგურა ევგენი კაფელნიკოვი – 6:1, 6:2, 6:1. ეს ნახევარფინალისტისთვის პირდაპირ სამარცხვინო ანგარიშია, თანაც მატჩი სულ 1 საათსა და 23 წუთს გაგრძელდა. მისგან დიდად არ განსხვავდებოდა პიტ სამპრასისა და მარატ საფინის შეხვედრა. შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ სამპრასს არსად გაუმარჯვია, მაგრამ ახლა საფინს 1 საათსა და 54 წუთში გაუსწორდა: 6:3, 6:3, 7:6.

მაშ ასე, კვირას, ჩვენი დროით კი დილაადრიან ორშაბათს, ერთმანეთს შეხვდნენ 30 წლის სამპრასი და 30 წლის ჰიუიტი. მატჩი ლეიტონ ჰიუიტმა მოიგო ანგარიშით 7:6, 6:1, 6:1.



კვიმატი ობიექტივი

## გაიმარჯვეს ვენუს უილიამსმა და ლეიტონ ჰიუიტმა

**„დიდი მუზარადის" ბოლო დიდი ასპარეზობა, აშშ-ის ღია პირველობა კვირას დამთავრდა.**

ქალთა შორის რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა. ფავორიტებიდან ჯერ მონიკა სელეში გამოეთიშა, შემდეგ კი ლინდსეი დევენპორტი. ნახევარფინალური წყვილები შეადგინეს მსოფლიო რეიტინგში. სათავეში მყოფმა და ამჯერადაც პირველ ნომრად განთესილმა მარტინა ჰინგისმა (შვეიცარია) და სერენა უილიამსმა (აშშ), ჯენიფერ კაპრიატიმ და ვენუს უილიამსმა. აქ, ცხადია, რაიმე მოულოდნელობას არ შევხვედრივართ.

ჩოგბურთის ექსპერტების აზრით, მარტინა ჰინგისს რამდენი ხანია არ მოუგია არც ერთი ტურნირი და რეიტინგის მიუხედავად, იგი სულაც არ არის მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი. ამჯერად მან კარგად ითამაშა, ნახევარფინალამდე მივიდა, აი აქ კი, პირწმინდად დამარცხდა. სერენამ 10 ეისი განახორციელა და დაამარცხა ჰინგისი სრულიად დამაჯერებელი ანგარიშით 6:3, 6:2.

ჯენიფერ კაპრიატიმ მეორე ნახევარფინალში მაინცდამაინც დიდი წი-



ლეიტონ ჰიუიტი

## საინტერესო შემადგენლობა

ბუენოს-აირესში მიმდინარე ნაიდორფის მემორიალმა მეტად საინტერესო შემადგენლობას მოუყარა თავი. ამაში თვითონ დარწმუნდებით: მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (რუსეთი) და მისი მრავალწლიანი მეტოქე ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტები ენრიკე მეკინგი (ბრაზილია) და ნაიჯელ შორტი (ინგლისი), განთქმული მოჭადრაკე ქალები იუდით პოლგარი (უნგრეთი) და მსოფლიო ჩემპიონი სიე ჟუნი (ჩინეთი), მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი, 14 წლის თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი). 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულა აქვთ რაჯაბოვს, კარპოვსა და პოლგარს.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

**წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:**
1. კa1! მუქარა 2. c4X.
1. ...ეd4 2. მc3X. 1. ...ე:c2 2. ეd3X.
1. ...e5 2. კg8X. 1. ლ:e4 2. კ:e4X.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 სექტემბერი, სამშაბათი**

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.05), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა „რომა" – „რეალი" (23.40); მიმოხილვა (2.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 2000), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა „რომა" – „რეალი" (3.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.00), ინგლისის ჩემპიონატი (20.00), ჩემპიონთა ლიგა: „რომა" – „რეალი" (23.30), „ლივერპული" – „ბოავიშტა" (02.00). ***EUROSPORT.*** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები (11.30, 17.00, 22.00), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (15.00), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.50), ჩემპიონთა ლიგა: „რომა" – „რეალი" (23.40), „დინამო" (კ.) – „ბორუსია" (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი (12.35), ცხენოსნობა. კონკური. მსოფლიო თასის ეტაპი (14.50, 20.10), ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი. პირამიდა (22.35).

**12 სექტემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა: „ბარსელონა" – „ოლიმპიკი" (23.40); მიმოხილვა (2.00). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30), ***НТВ.*** „ფეიენოორდი" – „ბავარია" (3.25). ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (09.30), გოლები (20.00), ჩემპიონთა ლიგა: „ლივერპული" – „ბოავიშტა" (20.30), „ფეიენოორდი" – „ბაიერნი" (23.30), „ოლიმპიაკოსი" – „მანჩესტერი" (02.00), ***EUROSPORT.*** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები (11.30, 22.00, 0.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (15.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ლოკომოტივი" (რუს.) – „ანდერლეხტი" (13.15), „რომა" – „რეალი" (15.30), „დინამო" (კ) – „ბორუსია" (17.15), „ფეიენოორდი" – „ბავარია" (23.40), „ბარსელონა" – „ლიონი" (1.35), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.45). ***НТВ плюс спорт.*** ბილიარდი.მსოფლიო ჩემპიონატი. პირამიდა (12.05), ცხენოსნობა. კონკური. მსოფლიო თასის ეტაპი (12.35, 20.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (14.45), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი (20.30, 22.55), ტაილანდური კრივი (0,30).

**13 სექტემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (14.10). ***ESPN.*** ფეხბურთი: გოლები (10.30), ჩემპიონთა ლიგა „ფეიენოორდი" – „ბაიერნი" (15.00), მსოფლიო თასი. მიმოხილვა (20.00, 05.00), ჩემპიონთა ლიგა „ოლიმპიაკოსი" – „მანჩესტერი" (20.30). ***EUROSPORT.*** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები (20.30, 22.00), ფეხბურთი, უეფას თასი (0.00, 2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ფეიენოორდი" – „ბავარია" (15.15), „ბარსელონა" – „ლიონი" (17.00), „პორტუ" – „იუვენტუსი" (19.20), უეფას თასი. „დინამო" (რუსეთი) – „ბირკირკარა" (20.55), ჩემპიონთა ლიგის I ტურის მატჩების მიმოხილვა (0.00), მსოფლიო ფეხბურთი. (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ცხენოსნობა, კონკური, მსოფლიო თასის ეტაპი (14.45), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19.55, 21.55).



## კროსვორდი №71

**თარაზულად:** 1. პროფესიონალი მოკრივე, რიდიკ... 6. ფრანგი ფეხბურთელი, 7. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 8. ბრაზილიის ვეტერანი ფეხბურთელი, 11. კულტურიზმი ანუ... 13. მწვერვალი კავკასიონზე, 14. გრძელ მანძილზე მორბენალი, 15. ინგლისელი ფეხბურთელი, 16. ერთ-ერთი ქვეყანა ფეხბურთში 2002 წ. მ/ჩ მასპინძელი, 18. ჯილდო, რომელსაც გადასცემენ ხელოვნებაში და ჭადრაკში მაღალი მიღწევებისთვის, 19. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 21. ბელგიის საფეხბ. კლუბი, 23. ვეტერანი ამერიკელი ვაჟი ჩოგბურთელი, 25. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 27. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 28. რუსეთის საფეხბ. კლუბი.

**შვეულად:** 1. სეოკ-ის პრეზიდენტი, 2. ქვაბი, რომელშიც წყალი ცხელდება ორთქლგამტარი მილებით, 3. ავსტრალიელი ჩოგბურთელი, რომელმაც მოიგო აშშ-ს ღია ჩემპიონატი, 4. სიგრძის საზომი ერთეული ძველად, 5. ბრაზილიელი მეკარე მ/ჩ ფეხბურთში, 9. ფორმულა — 1-ის ცნობილი პილოტი, 10. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი 50-იან წლებში, 12. სპორტის სახეობა, 17. მხედრის ფეხის შიგნითა ნაწილი, ცხენის სამართავად, 20. საჩოგბურთო მოედანი, 22. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 24. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 26. შოტლანდიელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის" მფლობელი.

### კროსვორდი №70 • პასუხები:

**თარაზულად:** 5. კიი, 6. „ალანია", 8. „აპოლო", 10. როა, 12. აბრა, 13. ნოა, 14. ელჩე, 15. ლარსენი, 17. ფორა, 20. ატლანტა, 21. კირსანი. **შვეულად:** 1. ალტობელი, 2. უნი, 3. მბა, 4. ურო, 5. კილანინი, 7. აბონემენტი, 9. პალერმო, 11. რაი, 16. ალი, 17. ფეი, 18. აია, 19. ოფი.



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გენერალურ დირექტორს ნუკრი კაკილაშვილს გარდაეცვალა მამა**
**შალვა კაკილაშვილი**
**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ნუკრი კაკილაშვილს მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე სამსახურის თანამშრომელს ლევან ანდღულაძეს შვილის**
**კონსტანტინე ანდღულაძის**
**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა 11 სექტემბერს 15 საათზე. მისამართი ვაჟა-ფშაველას II კვ. 30-ე კორპ.

**ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე სკოლის მეთოდისტს ლევან ანდღულაძეს შვილის**
**კონსტანტინე ანდღულაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**„ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ლევან ანდღულაძეს შვილის გარდაცვალების გამო.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX • „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.